# ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 1

# *ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება*

## მიზანი

1. წინამდებარე ფასს სტანდარტის მიზანია უზრუნველყოს, რომ საწარმოს *ფასს სტანდარტების შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება* და ამ ფინანსური ანგარიშგებით მოცული საანგარიშგებო პერიოდის ნაწილის შუალედური ფინანსური ანგარიშგება, წარმოადგენდეს მაღალი ხარისხის ინფორმაციას, რომელიც:

    ა) გამჭვირვალე იქნება მომხმარებლისათვის და შესადარისი ყველა წარდგენილი პერიოდის;

    ბ) უზრუნველყოფს შესაფერის ამოსავალ ბაზას *ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით* (ფასს სტანდარტებით) აღრიცხვის საწარმოებლად; და

    გ) შეიძლება მიღებულ იქნეს ისეთი დანახარჯებით, რომელიც არ აღემატება მომხმარებელთათვის მისაღებ სარგებელს.

## მოქმედების სფერო

2. საწარმომ მოცემული ფასს უნდა გამოიყენოს:

    ა) ფასს სტანდარტების შესაბამის პირველ ფინანსურ ანგარიშგებაში; და

    ბ) ყოველ შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში, თუ ასეთი არსებობს, რომელსაც წარმოადგენს ბასს 34-ის – „*შუალედური ფინანსური ანგარიშგება*" – თანახმად იმ საანგარიშგებო პერიოდის ნაწილისათვის, რომელსაც მოიცავს მისი ფასს სტანდარტების შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება.

3. საწარმოს ფასს სტანდარტების შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება მაშინ არის პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგება, რომელშიც საწარმო ფასს სტანდარტებს იყენებს, როდესაც ფინანსურ ანგარიშგებაში მის მიერ გაკეთებულია აშკარა და უპირობო განაცხადი ფასს სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ. ფასს სტანდარტებით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ფასს სტანდარტების შესაბამის პირველ ფინანსურ ანგარიშგებად მიიჩნევა, თუ, მაგალითად, საწარმომ:

    ა) წინა პერიოდების ყველაზე ბოლო ფინანსური ანგარიშგება წარადგინა:

        (i) ეროვნული მოთხოვნების თანახმად, რომლებიც არ შეესაბამება ფასს სტანდარტებს ყველა ასპექტში;

        (ii) ფასს სტანდარტების შესაბამისად ყველა საკითხში, გარდა იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავდა აშკარა და უპირობო განაცხადს ფასს სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ;

        (iii) რომელიც შეიცავდა აშკარა განაცხადს ზოგიერთ, მაგრამ არა ყველა ფასს სტანდარტთან შესაბამისობის შესახებ;

        (iv) ფასს სტანდარტებთან შეუსაბამო ეროვნული მოთხოვნების თანახმად, გამოიყენა რა ზოგიერთი ფასს ისეთი მუხლების აღსარიცხად, რომლებისთვისაც ეროვნული მოთხოვნები არ არსებობდა; ან

        (v) ეროვნული მოთხოვნების თანახმად, ზოგიერთი სიდიდის შეჯერებით ფასს სტანდარტებით განსაზღვრულ სიდიდეებთან;

    ბ) ფასს სტანდარტების შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება მოამზადა მხოლოდ შიდა მოხმარებისათვის და ხელმისაწვდომი არ გახადა საწარმოს მესაკუთრეთა ან სხვა გარე მომხმარებელთათვის;

გ) ანგარიშგების პაკეტი ფასს სტანდარტების მიხედვით მოამზადა კონსოლიდაციის მიზნით, მაგრამ საწარმოს არ მოუმზადებია ფინანსური ანგარიშგების სრული კომპლექტი ისე, როგორც განსაზღვრულია ბასს 1-ით – *„ფინანსური ანგარიშგების წარდგენა"* (შესწორებული 2007 წელს); ან

დ) არ წარუდგენია წინა პერიოდების ფინანსური ანგარიშგებები.

4. მოცემული ფასს მაშინ გამოიყენება, როცა საწარმო პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს. იგი არ გამოიყენება, როცა, მაგალითად, საწარმომ:

ა) შეწყვიტა ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ეროვნული მოთხოვნების შესაბამისად, ადრე წარადგენდა რა მას ფინანსური ანგარიშგების სხვა კომპლექტთან ერთად, რომელიც შეიცავდა ფასს სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ აშკარა და უპირობო განაცხადს;

ბ) წინა წელს ფინანსური ანგარიშგება წარადგინა ეროვნული მოთხოვნების თანახმად და ეს ფინანსური ანგარიშგება შეიცავდა ფასს სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ აშკარა და უპირობო განაცხადს; ან

გ) წინა წელს წარადგინა ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შეიცავდა ფასს სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ აშკარა და უპირობო განაცხადს, მაშინაც კი, თუ აუდიტორებმა ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე პირობითი აუდიტორული დასკვნა გასცეს.

4ა. მე-2 და მე-3 პუნქტების მოთხოვნების მიუხედავად, საწარმომ, რომელმაც პირველად გამოიყენა ფასს სტანდარტები წინა საანგარიშგებო პერიოდში, მაგრამ მისი წინა პერიოდების უკანასკნელი წლიური ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს აშკარა და უპირობო განაცხადს ფასს სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ, უნდა გამოიყენოს ან წინამდებარე სტანდარტი, ან ფასს სტანდარტები გამოიყენოს რეტროსპექტულად ბასს 8-ის – *„სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები"* – შესაბამისად იმგვარად, თითქოს საწარმოს არასდროს შეუწყვეტია ფასს სტანდარტების გამოყენება.

4ბ. თუ საწარმო არ გადაწყვეტს წინამდებარე სტანდარტის გამოყენებას 4ა პუნქტის შესაბამისად, მან მაინც უნდა გამოიყენოს ფასს 1-ის 23ა-23ბ პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნები განმარტებით შენიშვნებში გასამჟღავნებელი ინფორმაციის შესახებ, ბასს 8-ით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან ერთად, რომლებიც ეხება განმარტებით შენიშვნებში ინფორმაციის გამჟღავნებას.

5. წინამდებარე სტანდარტი არ ეხება იმ საწარმოთა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებებს, რომლებიც უკვე იყენებენ ფასს სტანდარტებს. ასეთი ცვლილებები ექვემდებარება:

ა) ბასს 8-ის – *„სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები"* – მოთხოვნებს სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებების შესახებ; და

ბ) სხვა სტანდარტის სპეციალურ გარდამავალ მოთხოვნებს.

## აღიარება და შეფასება

### ფასს სტანდარტების შესაბამისი საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

6. საწარმომ *ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღისათვის* უნდა მოამზადოს *და წარადგინოს ფასს სტანდარტების შესაბამისი საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.* ეს არის ფასს სტანდარტების შესაბამისი აღრიცხვის ამოსავალი ბაზა.

### სააღრიცხვო პოლიტიკა

7. **საწარმომ ერთი და იგივე სააღრიცხვო პოლიტიკა უნდა გამოიყენოს ფასს სტანდარტების შესაბამის საწყის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და ფასს სტანდარტების შესაბამის პირველ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ყველა პერიოდისათვის. ეს სააღრიცხვო პოლიტიკა უნდა ემორჩილებოდეს ყველა იმ სტანდარტს, რომელიც ძალაშია ფასს სტანდარტების შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგების საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, გარდა მე-13-19 და (ბ-ე) დანართებში განსაზღვრული შემთხვევებისა.**

8. საწარმომ არ უნდა გამოიყენოს ფასს სტანდარტების სხვადასხვა ვერსია, რომელიც წინა თარიღებისათვის იყო ძალაში. საწარმოს შეუძლია გამოიყენოს ახალი ფასს, რომელიც ჯერ კიდევ სავალდებულო არაა, თუ სტანდარტით დაშვებულია მისი ვადამდელი გამოყენება.

 © IFRS Foundation

| მაგალითი: ფასს სტანდარტების ბოლო ვერსიის თანმიმდევრული გამოყენება |
|---|
| **მოცემულობა**<br>A საწარმოსათვის  ფასს სტანდარტების შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგების საანგარიშგებო თარიღი 20X5 წლის 31 დეკემბერია. A საწარმომ გადაწყვიტა ამ ფინანსურ ანგარიშგებაში შესადარისი ინფორმაციის წარდგენა მხოლოდ ერთი წლისათვის (იხ. პუნქტი 21). ამგვარად, მისი ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღია საქმიანობის დაწყება 20X4 წლის 1 იანვარს (ან, რაც იგივეა, საქმიანობის დამთავრება 20X3 წლის 31 დეკემბერს). საწარმო A მანამდე გამოყენებული საზოგადოდ *მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებით (GAAP)* მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებას ყოველწლიურად წარადგენდა 31 დეკემბრისათვის, მათ შორის 20X4 წლის 31 დეკემბერს.<br>**სტანდარტის მოთხოვნების გამოყენება**<br>საწარმო A-ს მოეთხოვება იმ  სტანდარტის გამოყენება, რომლებიც ძალაშია 20X5 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული პერიოდისათვის:<br>ა) ფასს სტანდარტების შესაბამისი საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების  მოსამზადებლად 20X4 წლის 1 იანვრისათვის; და<br>ბ) 20X5 წლის 31 დეკემბრის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების (20X4 წლის შესადარისი სიდიდეების გათვალისწინებით), 20X5 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლისათვის (20X4 წლის შესადარისი სიდიდეების გათვალისწინებით) სრული შემოსავალი ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების, ასევე განმარტებითი შენიშვნების (20X4 წლის შესადარისი ინფორმაციის გათვალისწინებით) მოსამზადებლად და წარსადგენად.<br>თუ რომელიმე ახალი ფასს ჯერ კიდევ არაა სავალდებულო, მაგრამ დასაშვებია მისი ვადამდელი გამოყენება, A საწარმოს უფლება ეძლევა, მაგრამ არ მოეთხოვება ამ  სტანდარტის გამოყენება თავის ფასს სტანდარტების შესაბამის პირველ ფინანსურ ანგარიშგებაში. |

9. სხვა სტანდარტების გარდამავალი დებულებები ეხება იმ საწარმოთა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებებს, რომლებიც უკვე იყენებს ფასს სტანდარტებს; ისინი არ ეხება *საწარმოს, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს*, გარდა (ბ-ე) დანართებში განსაზღვრული შემთხვევებისა.

10. გარდა მე-13-19 პუნქტებში და (ბ-ე) დანართებში აღწერილი გამონაკლისი შემთხვევებისა, საწარმომ ფასს სტანდარტების შესაბამის საწყის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში:

ა) უნდა აღიაროს ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა აღიარება მოთხოვნილია ფასს სტანდარტებით;

ბ) არ უნდა აღიაროს მუხლები აქტივებად და ვალდებულებებად, თუ ფასს  სტანდარტებით არ არის დაშვებული ასეთი აღიარება;

გ) ხელახლა უნდა მოახდინოს ისეთი მუხლების კლასიფიცირება, რომელსაც  მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებით აღიარებდა, როგორც ერთი სახის აქტივს, ვალდებულებას ან საკუთარი კაპიტალის კომპონენტს, მაგრამ წარმოადგენს განსხვავებული სახეობის აქტივს, ვალდებულებას ან საკუთარი კაპიტალის კომპონენტს ფასს სტანდარტების თანახმად; და

დ) უნდა გამოიყენოს ფასს ყველა აღიარებული აქტივისა და ვალდებულების შესაფასებლად.

11. სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც საწარმო ფასს სტანდარტების შესაბამის საწყის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში იყენებს, შეიძლება განსხვავდებოდეს იმისგან, რასაც ის იმავე თარიღისათვის იყენებდა მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების თანახმად. აქედან გამომდინარე, შესწორებები წარმოიქმნება ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღამდე მომხდარი მოვლენებიდან და ოპერაციებიდან. ამგვა-

რად, საწარმომ ეს შესწორებები პირდაპირ გაუნაწილებელ მოგებაში უნდა აღიაროს (ან, თუ მისაღებია, საკუთარი კაპიტალის სხვა კატეგორიაში) ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღისათვის.

12. წინამდებარე სტანდარტი ადგენს ორი კატეგორიის გამონაკლისს იმ პრინციპიდან, რომ საწარმოს ფასს სტანდარტების შესაბამისი საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება უნდა დაექვემდებაროს თითოეულ სტანდარტს:

ა) 14-17-ე პუნქტები და (ბ) დანართი კრძალავს სხვა სტანდარტის ზოგიერთი მოთხოვნის რეტროსპექტულ გამოყენებას;

ბ) დანართები (გ-ე) ათავისუფლებს საწარმოებს სხვა სტანდარტების ზოგიერთი მოთხოვნისგან.

## გამონაკლისები სხვა სტანდარტის რეტროსპექტულ გამოყენებაში

13. მოცემული ფასს კრძალავს სხვა სტანდარტის ზოგიერთი მოთხოვნის რეტროსპექტულ გამოყენებას. ეს გამონაკლისი შემთხვევები განხილულია მე-14-17 პუნქტებსა და (ბ) დანართში.

## სააღრიცხვო შეფასებები

**14. საწარმოს მიერ ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღისათვის ფასს სტანდარტების თანახმად განსაზღვრული შეფასებები შესადარისი უნდა იყოს ამავე თარიღისათვის მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების მიხედვით გამოთვლილი შეფასებების (სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ნებისმიერი ცვლილების ამსახველი შესწორებების შემდეგ), თუ არ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ის შეფასებები მცდარი იყო.**

15. საწარმომ ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღის შემდეგ შეიძლება ინფორმაცია მიიღოს იმ შეფასებებზე, რომლებიც განსაზღვრა მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების მიხედვით. მე-14 პუნქტის თანახმად, საწარმო ისევე უნდა მიუდგეს ამ ინფორმაციის მიღებას, როგორც საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ არამაკორექტირებელ მოვლენებს ბასს 10-ის – „*საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები*" – თანახმად. მაგალითად, დავუშვათ საწარმოს ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღი 20X4 წლის 1 იანვარია, ხოლო 20X4 წლის 15 ივლისის ახალი ინფორმაცია მოითხოვს 20X3 წლის 31 დეკემბერს მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებით განსაზღვრული შეფასებების გადახედვას. საწარმომ ახალი ინფორმაცია არ უნდა ასახოს ფასს სტანდარტების შესაბამის საწყის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში (ისეთი შემთხვევების გარდა, როდესაც შეფასება საჭიროებს შესწორებას სააღრიცხვო პოლიტიკაში არსებული განსხვავების გამო ან, თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ შეფასება მცდარი იყო). ნაცვლად ამისა, საწარმომ ეს ახალი ინფორმაცია უნდა ასახოს 20X4 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის მოგებაში ან ზარალში (ან, თუ არსებობს, სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში).

16. საწარმოს ფასს სტანდარტების თანახმად შესაძლოა ისეთი შეფასებების განსაზღვრა დასჭირდეს ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღისათვის, რაც არ მოითხოვებოდა ამ თარიღისათვის მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებით. ბასს 10-თან შესაბამისობის მისაღწევად, ფასს სტანდარტების თანახმად გამოთვლილი შეფასებები უნდა ასახავდეს იმ პირობებს, რომლებიც არსებობდა ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღისათვის. კერძოდ, ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღისათვის საბაზრო ფასების, საპროცენტო განაკვეთების ან სავალუტო კურსების შეფასებები უნდა ასახავდეს საბაზრო მდგომარეობას ამ თარიღისათვის.

17. მე-14-16 პუნქტები ეხება ფასს სტანდარტების შესაბამის საწყის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, ასევე შესადარის პერიოდს, რომელიც საწარმოს ფასს სტანდარტების შესაბამის პირველ ფინანსურ ანგარიშგებაშია წარმოდგენილი, რა შემთხვევაშიც ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღის მითითება შეცვლილია ამ შესადარისი პერიოდის დასასრულის მითითებით.

 © IFRS Foundation

### სხვა სტანდარტებიდან განთავისუფლება

**18.** საწარმოს უფლება აქვს გამოიყენოს ერთი ან მეტი განთავისუფლების უფლება, რომელსაც ითვალისწინებს (გ-ე) დანართები. საწარმომ ზემოაღნიშნული შეღავათები ანალოგიურად არ უნდა გამოიყენოს სხვა მუხლების მიმართაც.

19. [გაუქმებულია]

## წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები

20. წინამდებარე სტანდარტი არ უზრუნველყოფს სხვა ფასს სტანდარტების წარდგენისა და განმარტებების მოთხოვნებისაგან განთავისუფლებას.

### შესადარისი ინფორმაცია

21. საწარმოს ფასს სტანდარტების შესაბამისმა პირველმა ფინანსურმა ანგარიშგებამ უნდა მოიცვას სულ მცირე სამი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, ორი მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება, ორი განცალკევებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგება (თუ წარდგენილია), ორი ფულადი ნაკადების ანგარიშგება და ორი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნები, მათ შორის შესადარისი ინფორმაცია ყველა წარდგენილი ანგარიშგებისთვის.

### შესადარისი ინფორმაცია, რომელიც არ არის ფასს სტანდარტების შესაბამისი და ისტორიული რეზიუმე

22. ზოგიერთი საწარმო წარადგენს შერჩეული მონაცემების ისტორიულ რეზიუმეს იმ პირველი საანგარიშგებო პერიოდის წინა პერიოდების შესახებ, რომლისთვისაც წარმოადგენს სრულყოფილ შესადარის ინფორმაციას ფასს სტანდარტების თანახმად. მოცემული ფასს არ მოითხოვს, რომ მსგავსი ტიპის რეზიუმე დაექვემდებაროს ფასს სტანდარტების აღიარებისა და შეფასების მოთხოვნებს. უფრო მეტიც, ზოგიერთი საწარმო შესადარის ინფორმაციას წარმოადგენს მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების მიხედვითაც და ასევე ბასს 1-ის შესაბამისადაც. ნებისმიერ ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელიც შეიცავს ისტორიულ რეზიუმეს ან მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების მიხედვით მომზადებულ შესადარის ინფორმაციას, საწარმომ:

ა) გამორჩეულად უნდა აღნიშნოს მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებით მომზადებულ ინფორმაციაზე, რომ არ არის ფასს სტანდარტებით მომზადებული; და

ბ) განმარტოს ძირითადი შესწორებების ბუნება, რის საფუძველზეც ეს ინფორმაცია დაუქვემდებარა ფასს სტანდარტებს. საწარმოს არ სჭირდება ამ შესწორებების რაოდენობრივი გამოსახვა.

### ფასს სტანდარტებზე გადასვლის ახსნა

**23. საწარმომ უნდა ახსნას, რა გავლენა იქონია მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებიდან ფასს სტანდარტებზე გადასვლამ მის საანგარიშგებო ფინანსურ მდგომარეობაზე, ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებზე.**

23ა. საწარმომ, რომელმაც წინა პერიოდში გამოიყენა ფასს სტანდარტები, როგორც აღწერილია 4ა პუნქტში, უნდა განმარტოს:

ა) მიზეზი, რატომ შეწყვიტა ფასს სტანდარტების გამოყენება; და

ბ) მიზეზი, რატომ განაახლა ფასს სტანდარტების გამოყენება.

23ბ. თუ საწარმო 4ა პუნქტის შესაბამისად არ გადაწყვეტს ფასს 1-ის გამოყენებას, მან უნდა ახსნას მიზეზები, რის გამოც გადაწყვიტა ფასს სტანდარტების გამოყენება, თითქოს მას არასდროს შეუწყვეტია ფასს სტანდარტების გამოყენება.

## შეჯერება

24. 23-ე პუნქტის მოთხოვნების შესასრულებლად, საწარმოს ფასს სტანდარტების შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება უნდა მოიცავდეს:

ა) მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებით მომზადებული საანგარიშგებო საკუთარი კაპიტალის შეჯერებას ფასს სტანდარტებით წარმოდგენილ საკუთარ კაპიტალთან, ორივე შემდეგი თარიღისათვის:

(i) ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღისათვის; და

(ii) უკანასკნელი საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისათვის, რომელიც წარმოდგენილია მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების მიხედვით მომზადებულ, საწარმოს ყველაზე ბოლოდროინდელ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში;

ბ) საწარმოს ყველაზე ბოლოდროინდელ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი, უკანასკნელი პერიოდის მთლიანი სრული შემოსავლის შეჯერებას, რომელიც გამოთვლილია ფასს სტანდარტების შესაბამისად. ამ შეჯერების ამოსავალი ბაზა უნდა იყოს იმავე პერიოდის, მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებით გამოთვლილი მთლიანი სრული შემოსავალი, ან თუ საწარმო არ წარადგენს ამგვარ ჯამურ თანხას, მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებით გამოთვლილი მოგება ან ზარალი;

გ) თუ საწარმო აღიარებს ან პირიქით აღადგენს გაუფასურების ზარალს ფასს სტანდარტების შესაბამის საწყის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში – განმარტებებს, რომლებიც მოთხოვნილი იქნებოდა ბასს 36-ით – *„აქტივების გაუფასურება“*, თუკი საწარმოს აღიარებული ან აღდგენილი ექნებოდა გაუფასურების ეს ზარალი ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღით დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდში.

25. 24(ა) და (ბ) პუნქტებით მოთხოვნილი შეჯერების მონაცემები საკმარისად დეტალური უნდა იყოს, რათა მომხმარებლისათვის გასაგები გახდეს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისა და სრული შემოსავლის ანგარიშგების არსებითი შესწორებები. თუ საწარმომ ფულადი ნაკადების ანგარიშგება მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებით წარადგინა, მან ასევე უნდა ახსნას ფულადი ნაკადების ანგარიშგების არსებითი შესწორებებიც.

26. თუ საწარმოსათვის ცნობილი გახდება მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების დროს დაშვებული შეცდომები, 24(ა) და (ბ) პუნქტებით მოთხოვნილ შეჯერების მასალებში გამიჯნული უნდა იყოს ამ შეცდომების გასწორება სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებებისაგან.

27. ბასს 8 არ ეხება სააღრიცხვო პოლიტიკის ისეთ ცვლილებებს, რომელსაც საწარმო მიმართავს ფასს სტანდარტების პირველად გამოყენებისას, ან ფასს სტანდარტების შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგების წარდგენამდე. ამგვარად, ბასს 8-ის მოთხოვნები სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებების შესახებ, არ გამოიყენება საწარმოს ფასს სტანდარტების შესაბამის პირველ ფინანსურ ანგარიშგებაში.

27ა. თუ საწარმო ცვლის სააღრიცხვო პოლიტიკას, ან იყენებს წინამდებარე სტანდარტით გათვალისწინებულ გამონაკლისებს იმ პერიოდის განმავლობაში, რომელსაც მოიცავს მისი ფასს სტანდარტების შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება, მან 23-ე პუნქტის შესაბამისად უნდა ახსნას, რაში გამოხატა ცვლილებები ფასს სტანდარტების შესაბამისად მომზადებულ მის პირველ შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებასა და ფასს სტანდარტების შესაბამის პირველ ფინანსურ ანგარიშგებაში და უნდა განაახლოს 24(ა) და (ბ) ქვეპუნქტებით მოთხოვნილი შემაჯერებელი მონაცემები.

28. თუ საწარმოს არ წარუდგენია წინა პერიოდების ფინანსური ანგარიშგება, ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფასს სტანდარტების შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.

 © IFRS Foundation

## ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირება საკუთარი შეხედულებისამებრ

29. საწარმოს უფლება აქვს, ადრე აღიარებულ ფინანსურ აქტივს მიანიჭოს კლასიფიკაცია „სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, მოგებაში ან ზარალში ასახვით“ დ19 პუნქტის შესაბამისად. საწარმომ ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს ამგვარად კლასიფიცირებული ფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულება კლასიფიკაციის მინიჭების თარიღისთვის, ასევე მათი კლასიფიკაცია და საბალანსო ღირებულება წინა ფინანსურ ანგარიშგებაში.

29ა. საწარმოს უფლება აქვს, ადრე აღიარებულ ფინანსურ ვალდებულებას მიანიჭოს კლასიფიკაცია „სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით“ დ19 პუნქტის შესაბამისად. საწარმომ ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს ამგვარად კლასიფიცირებული ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება კლასიფიკაციის მინიჭების თარიღისთვის, ასევე მათი კლასიფიკაცია და საბალანსო ღირებულება წინა ფინანსურ ანგარიშგებაში.

## სამართლიანი ღირებულების, როგორც დასაშვები საწყისი ღირებულების გამოყენება

30. თუ საწარმო ფასს სტანდარტების შესაბამის საწყის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სამართლიან ღირებულებას იყენებს, როგორც *დასაშვებ საწყის ღირებულებას* ძირითადი საშუალების, საინვესტიციო ქონების, არამატერიალური აქტივის ან აქტივის გამოყენების უფლებისთვის (იხ. დ5 და დ7 პუნქტები), მაშინ საწარმოს ფასს სტანდარტების შესაბამის პირველ ფინანსურ ანგარიშგებაში, ფასს სტანდარტების შესაბამისი საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თითოეული მუხლისათვის გამჟღავნებული უნდა იყოს:

ა) ამ სამართლიანი ღირებულებების აგრეგირებული სიდიდე; და

ბ) მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების შესაბამისი საანგარიშგებო საბალანსო ღირებულებების კორექტირების მთლიანი თანხა.

## დასაშვები საწყისი ღირებულების გამოყენება შვილობილ, ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებში ფლობილი ინვესტიციებისთვის

31. ანალოგიურად, თუ საწარმო დასაშვებ საწყის ღირებულებას იყენებს ფასს სტანდარტების შესაბამის საწყის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შვილობილი, ერთობლივი ან მეკავშირე საწარმოებისთვის, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას (იხ. პუნქტი დ15), საწარმოს ფასს სტანდარტების შესაბამის საწყის ინდივიდუალურ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) დასაშვები საწყისი ღირებულების აგრეგირებული თანხა იმ ინვესტიციებისთვის, რომლისთვისაც დასაშვები საწყისი ღირებულება არის მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებით გამოთვლილი საბალანსო ღირებულება;

ბ) დასაშვები საწყისი ღირებულების აგრეგირებული თანხა იმ ინვესტიციებისთვის, რომლისთვისაც დასაშვები საწყისი ღირებულება არის სამართლიანი ღირებულება; და

გ) მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებით წარდგენილი საბალანსო ღირებულებების კორექტირების აგრეგირებული თანხა.

## დასაშვები საწყისი ღირებულების გამოყენება ნავთობისა და გაზის აქტივებისთვის

31ა. თუ საწარმო იყენებს დ8ა(ბ) პუნქტით გათვალისწინებულ განთავისუფლების უფლებას ნავთობისა და გაზის აქტივებისთვის, მან განმარტებით შენიშვნებში უნდა დააფიქსიროს თვითონ ეს ფაქტი, ასევე უნდა განმარტოს საფუძველი, რომლის მიხედვითაც იყო მიკუთვნებული აქტივებზე მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებით განსაზღვრული საბალანსო ღირებულებები.

### დასაშვები საწყისი ღირებულების გამოყენება ოპერაციების მიმართ, რომლებიც ექვემდებარება სატარიფო რეგულირებას

31ბ. თუ საწარმო იყენებს დ8ბ პუნქტით გათვალისწინებულ გამონაკლისს იმ ოპერაციების მიმართ, რომლებიც ექვემდებარება სატარიფო რეგულირებას, მან განმარტებით შენიშვნებში უნდა განაცხადოს ამ ფაქტის შესახებ და ასევე ახსნას საფუძველი, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა საბალანსო ღირებულებები მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების შესაბამისად.

#### დასაშვები საწყისი ღირებულების გამოყენება მძიმე ჰიპერინფლაციის შემდეგ

31გ. თუ საწარმო აირჩევს აქტივებისა და ვალდებულებების შეფასებას სამართლიანი ღირებულებით და მძიმე ჰიპერინფლაციის გამო, სამართლიან ღირებულებას გამოიყენებს დასაშვებ საწყის ღირებულებად ფასს სტანდარტების შესაბამის საწყის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში (იხ. დ26-დ30 პუნქტები), საწარმომ ფასს სტანდარტების შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში უნდა განმარტოს, როგორ და რატომ ჰქონდა საწარმოს სამუშაო ვალუტას შემდეგი ორი მახასიათებელი და ახლა რატომ აღარ აქვს:

ა) არ არსებობს საიმედო საერთო ფასების ინდექსი ყველა საწარმოსთვის, რომელთა ოპერაციები და ნაშთები გამოსახულია ამ ვალუტაში;

ბ) არ არსებობს ამ ვალუტასა და შედარებით მყარ უცხოურ ვალუტას შორის ურთიერთგაცვლის საშუალება.

#### შუალედური ფინანსური ანგარიშგება

32. თუ საწარმო წარადგენს შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებას ბასს 34-ის შესაბამისად იმ პერიოდის ნაწილისთვის, რომელსაც მისი ფასს სტანდარტების შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს, მაშინ საწარმომ 23-ე პუნქტის შესასრულებლად, ბასს 34-ის მოთხოვნებთან ერთად, უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი მოთხოვნები:

ა) თუ საწარმო შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებას წარადგენს შესადარისი შუალედური პერიოდისათვის, რომელიც უშუალოდ წინ უძღვის ფინანსურ წელს, მაშინ ყოველი ასეთი შუალედური ფინანსური ანგარიშგება უნდა მოიცავდეს:

(i) ამ შესადარისი შუალედური პერიოდის დასასრულისათვის, მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებით გამოთვლილი საანგარიშგებო საკუთარი კაპიტალის შეჯერების მონაცემებს ამავე თარიღისათვის ფასს სტანდარტებით გამოთვლილ საკუთარ კაპიტალთან; და

(ii) ფასს სტანდარტების შესაბამისად გამოთვლილი, ამ შესადარისი შუალედური პერიოდის (მიმდინარე და მოცემულ თარიღამდე) მთლიანი სრული შემოსავლის შეჯერების მონაცემებს. ამგვარი შეჯერების ამოსავალი ბაზა უნდა იყოს იმავე პერიოდის, მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებით გამოთვლილი მთლიანი სრული შემოსავალი, ან თუ საწარმო არ წარადგენს ამგვარ ჯამურ თანხას, მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებით გამოთვლილი მოგება ან ზარალი.

ბ) წინა (ა) პუნქტში მოთხოვნილი შეჯერების მონაცემების გარდა, ბასს 34-ის მიხედვით მომზადებული საწარმოს პირველი შუალედური ფინანსური ანგარიშგება იმ პერიოდის ნაწილისთვის, რომელსაც მოიცავს მისი ფასს სტანდარტების შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება, უნდა შეიცავდეს 24(ა) და (ბ) პუნქტებში აღწერილ შეჯერებებს (25-ე და 26-ე პუნქტებით მოთხოვნილ დეტალურ ინფორმაციასთან ერთად), ან მინიშნებას სხვა გამოქვეყნებულ დოკუმენტზე, რომელიც ამ შემაჯერებელ ინფორმაციას შეიცავს;

გ) თუ საწარმო ცვლის სააღრიცხვო პოლიტიკას, ან წინამდებარე სტანდარტით გათვალისწინებული გამონაკლისის გამოყენებას, მან უნდა განმარტოს შესაბამისი ცვლილებები თითოეული ამგვარი შუალედური ფინანსური ანგარიშგებისთვის 23-ე პუნქტის შესაბამისად და განაახლოს შემაჯერებელი მონაცემები, რომელთა გამჟღავნებაც მოითხოვება (ა) და (ბ) ქვეპუნქტებით.

 © IFRS Foundation

33. ბასს 34 მოითხოვს მინიმალური ინფორმაციის განმარტებებს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში, რის საფუძველსაც წარმოადგენს დაშვება, რომ შუალედური ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს ხელი მიუწვდებათ ყველაზე ბოლოდროინდელ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაზეც. ამასთან, ბასს 34 საწარმოსაგან ასევე მოითხოვს, რომ მან განმარტოს „ნებისმიერი მოვლენა ან ოპერაცია, რომელიც არსებითია მიმდინარე შუალედური პერიოდის გასაგებად“. ამგვარად, თუ საწარმოს, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს, მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებით წარმოდგენილ ყველაზე ბოლოდროინდელ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში არ განუმარტავს ინფორმაცია, რომელიც არსებითია მიმდინარე შუალედური პერიოდის გასაგებად, მან შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა განმარტოს ეს ინფორმაცია, ან მიუთითოს სხვა გამოქვეყნებული დოკუმენტი, რომელიც ამ ინფორმაციას შეიცავს.

## ძალაში შესვლის თარიღი

34. საწარმომ წინამდებარე სტანდარტი იმ შემთხვევაში უნდა გამოიყენოს, თუ მისი ფასს სტანდარტების შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს 2009 წლის 1 ივლისს ან მის შემდეგ დაწყებულ პერიოდს. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება.

35. საწარმომ დ1(ო) და დ23 პუნქტებში შეტანილი ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2009 წლის 1 ივლისს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. თუ საწარმო ბასს 23-ს – *„ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები“* (შესწორებული 2007 წელს) უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, იმავე პერიოდისთვის უნდა გამოიყენოს ზემოაღნიშნული ცვლილებებიც.

36. ფასს 3-მა – *„საწარმოთა გაერთიანება“* (შესწორებული 2008 წელს) განაპირობა მე-19, გ1, გ4(ვ) და გ4(ზ) პუნქტების შეცვლა. თუ საწარმო ფასს 3-ს (შესწორებული 2008 წელს) უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, იმავე პერიოდისთვის უნდა გამოიყენოს ზემოაღნიშნული ცვლილებებიც.

37. ბასს 27-მა – *„კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება“* (შესწორებული 2008 წელს) განაპირობა ბ1 და ბ7 პუნქტების შეცვლა. თუ საწარმო ბასს 27-ს (შესწორებული 2008 წელს) უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, იმავე პერიოდისთვის უნდა გამოიყენოს ზემოაღნიშნული ცვლილებებიც.

38. 2008 წლის მაისში გამოცემულმა დოკუმენტმა – *შვილობილ, ერთობლივად კონტროლირებად ან მეკავშირე საწარმოებში დაბანდებული ინვესტიციების თვითღირებულება* (ფასს 1-ისა და ბასს 27 –ის შესწორებები) განაპირობა 31-ე, დ1(ზ), დ14 და დ15 პუნქტების დამატება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2009 წლის 1 ივლისს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო ამ პუნქტებს უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.

39. ბ7 პუნქტი შეიცვალა 2008 წლის მაისში გამოცემული დოკუმენტის – *„ფასს სტანდარტების გაუმჯობესება“* – გათვალისწინებით. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2009 წლის 1 ივლისს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. თუ საწარმო ბასს 27-ს (შესწორებული 2008 წელს) უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, იმავე პერიოდისთვის უნდა გამოიყენოს ზემოაღნიშნული ცვლილებებიც.

39ა. 2009 წლის ივლისში გამოცემულმა ფასს 1-ში შესატანმა ცვლილებებმა – *იმ საწარმოთა დამატებითი განთავისუფლება, რომლებიც პირველად იყენებენ ფასს სტანდარტებს* – განაპირობა 31ა, დ8ა, დ9ა და დ21ა პუნქტების დამატება და დ1(გ), (დ) და (მ) პუნქტის შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2010 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო ამ ცვლილებებს უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.

39ზ. [გაუქმებულია]

39გ. ფასიკ 19-მა – *„ფინანსური ვალდებულებების დაფარვა წილობრივი ინსტრუმენტებით“* – გამოიწვია დ25 პუნქტის დამატება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილება იმ პერიოდში უნდა გამოიყენოს, როდესაც გამოიყენებს ფასიკ 19-ს.

39დ. [გაუქმებულია]

39ე. 2010 წლის მაისში გამოცემულმა დოკუმენტმა – *„ფასს სტანდარტების გაუმჯობესება“* – გამოიწვია 27ა, 31ბ და დ8ბ პუნქტების დამატება და ასევე 27-ე, 32-ე, დ1(გ) და დ8 პუნქტების შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2011 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო ამ ცვლილებებს უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში. საწარმოს, რომელმაც ფასს სტანდარტები დანერგა, ან ფასს 1 გამოიყენა ფასს 1-ის ძალაში შესვლის თარიღის წინა პერიოდში, უფლება ეძლევა დ8 პუნქტში შეტანილი ცვლილება გამოიყენოს რეტროსპექტულად, ამ ცვლილების ძალაში შესვლის თარიღის შემდგომ პირველ წლიურ პერიოდში. საწარმომ, რომელიც რეტროსპექტულად გამოიყენებს დ8 პუნქტს, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს ეს ფაქტი.

39ვ. [გაუქმებულია]

39ზ. [გაუქმებულია]

39თ. 2010 წლის დეკემბერში გამოცემულმა დოკუმენტმა – *„მძიმე ჰიპერინფლაცია და ფიქსირებული თარიღების გაუქმება იმ საწარმოთათვის, რომლებიც პირველად იწყებენ ფასს სტანდარტების გამოყენებას“* (ფასს 1-ის შესწორებები) – გამოიწვია ბ2, დ1 და დ20 პუნქტების შეცვლა და 31გ და დ26-დ30 პუნქტების დამატება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2011 წლის 1 ივლისს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება.

39ი. 2011 წლის მაისში გამოცემულმა ფასს 10-მა – *„კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“* და ფასს 11-მა – *„ერთობლივი საქმიანობა“* – გამოიწვია 31-ე, ბ7, გ1, დ1, დ14 და დ15 პუნქტების შეცვლა და დ31 პუნქტის დამატება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები იმ საანგარიშგებო პერიოდში უნდა გამოიყენოს, როდესაც გამოიყენებს ფასს 10-სა და ფასს 11-ს.

39კ. 2011 წლის მაისში გამოცემულმა ფასს 13-მა – *„სამართლიანი ღირებულების შეფასება“* – გამოიწვია მე-19 პუნქტის გაუქმება, „ა“ დანართში მოცემული სამართლიანი ღირებულების განმარტებისა და დ15 და დ20 პუნქტების შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები იმ საანგარიშგებო პერიოდში უნდა გამოიყენოს, როდესაც გამოიყენებს ფასს 13-ს.

39ლ. 2011 წლის ივნისში გამოცემულმა დოკუმენტმა – *„სხვა სრული შემოსავლის მუხლების წარდგენა“* (ბასს 1-ის შესწორებები) – გამოიწვია 21-ე პუნქტის შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები იმ საანგარიშგებო პერიოდში უნდა გამოიყენოს, როდესაც გამოიყენებს ბასს 1-ის 2011 წლის ივნისის შესწორებულ ვერსიას.

39მ. ბასს 19-მა – *„დასაქმებულთა გასამრჯელოები“* (2011 წლის ივნისის შესწორებული ვერსია) გამოიწვია დ1 პუნქტის შეცვლა, ასევე დ10 და დ11 პუნქტების გაუქმება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები იმ პერიოდში უნდა გამოიყენოს, როდესაც გამოიყენებს ბასს 19-ს (შესწორებული 2011 წლის ივნისში).

39ნ. ფასიკ 20-მა – *„ღია წესით დასამუშავებელი საბადოს ექსპლუატაციის ეტაპზე გაწეული საბადოს გადახსნის დანახარჯები“* – გამოიწვია დ32 პუნქტის დამატება და დ1 პუნქტის შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები იმ საანგარიშგებო პერიოდში უნდა გამოიყენოს, როდესაც გამოიყენებს ფასიკ 20-ს.

39ო. 2012 წლის მარტში გამოცემულმა დოკუმენტმა – *„სახელმწიფო სესხები“* (ფასს 1-ის შესწორებები) – გამოიწვია ბ1(ვ) და ბ10-ბ12 პუნქტების დამატება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2013 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება.

 © IFRS Foundation

39ჰ. ბ10 და ბ11 პუნქტები ეხება ფასს 9-ს. თუ საწარმო იყენებს წინამდებარე სტანდარტს, მაგრამ ჯერ არ იყენებს ფასს 9-ს, მან ბ10 და ბ11 პუნქტებში მითითებული ფასს 9-ის ნაცვლად უნდა იგულისხმოს ბასს 39 – *„ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“*.

39ჟ. 2012 წლის მაისში გამოცემულმა დოკუმენტმა – *„ფასს სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესება – 2009-2011 წლების ციკლი“* – გამოიწვია 4ა-4ბ და 23ა-23ბ პუნქტების დამატება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილება რეტროსპექტულად უნდა გამოიყენოს ბასს 8-ის – *„სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“* – შესაბამისად, 2013 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო ამ ცვლილებებს უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.

39რ. 2012 წლის მაისში გამოცემულმა დოკუმენტმა – *„ფასს სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესება – 2009-2011 წლების ციკლი“* – გამოიწვია დ23 პუნქტის შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილება რეტროსპექტულად უნდა გამოიყენოს ბასს 8-ის – *„სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“* – შესაბამისად, 2013 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო ამ ცვლილებებს უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.

39ს. 2012 წლის მაისში გამოცემულმა დოკუმენტმა – *„ფასს სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესება – 2009-2011 წლების ციკლი“* – გამოიწვია 21-ე პუნქტის შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილება რეტროსპექტულად უნდა გამოიყენოს ბასს 8-ის – *„სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“* – შესაბამისად, 2013 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო ამ ცვლილებებს უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.

39ტ. 2012 წლის ივნისში გამოცემულმა დოკუმენტმა – *„კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ერთობლივი საქმიანობა და განმარტებითი შენიშვნები სხვა საწარმოებში მონაწილეობის შესახებ:* მითითებები აღრიცხვის ახალ მეთოდებზე გადასვლის შესახებ“ (ფასს 10-ში, ფასს 11-სა და ფასს 12-ის შესწორებები)“ – გამოიწვია დ31 პუნქტის შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილება იმ პერიოდში უნდა გამოიყენოს, როდესაც გამოიყენებს ფასს 11-ის 2012 წლის ივნისის შესწორებულ ვერსიას.

39უ. 2012 წლის ოქტომბერში გამოცემულმა დოკუმენტმა – *„საინვესტიციო საწარმოები“* (ფასს 10-ში, ფასს 12-სა და ბასს 27-ის შესწორებები) – გამოიწვია დ16, დ17 პუნქტებისა და „გ“ დანართის შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2014 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია დოკუმენტის – *„საინვესტიციო საწარმოები“* – ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო ამ ცვლილებებს უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, მან იმავდროულად უნდა გამოიყენოს ყველა ცვლილება, რომელსაც ითვალისწინებს დოკუმენტი – *„საინვესტიციო საწარმოები“*.

39ფ. [გაუქმებულია]

39ქ. 2014 ლის იანვარში გამოცემულმა ფასს 14-მა - *„გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშები“* - გამოიწვია დ8ბ პუნქტის შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილება უნდა გამოიყენოს 2016 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო ფასს 14-ს უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, იმავე პერიოდში უნდა გამოიყენოს ეს ცვლილებაც.

39ღ. 2014 წლის მაისი გამოცემულმა დოკუმენტმა - *„ერთობლივ საწარმოებში შეძენილი წილების აღრიცხვა“* (ფასს 11-ის შესწორებები) გამოიწვია გ5 პუნქტის შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილება უნდა გამოიყენოს 2016 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. თუ საწარმო უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს ფასს 11-ში დოკუმენტის - *„ერთობლივ საწარმოებში შეძენილი წილების აღრიცხვა“* (ფასს 11-ის შესწორებები) - შედეგად შეტანილ სხვა ცვლილებებს, იმავე პერიოდში უნდა გამოიყენოს გ5 პუნქტში შესული ცვლილებაც.

39ყ. 2014 წლის მაისში გამოცემულმა ფასს 15-მა – *„ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“* - გამოიწვია დ1 პუნქტის შეცვლა, დ24 პუნქტისა და შესაბამისი სათაურის გაუქმება, ასევე დ34-დ35 პუნქტებისა და მათი სათაურების დამატება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები იმ პერიოდში უნდა გამოიყენოს, როდესაც გამოიყენებს ფასს 15-ს.

39შ. 2014 წლის ივლისში გამოცემულმა ფასს 9-მ - *„ფინანსური ინსტრუმენტები“* - გამოიწვია 29-ე, ბ1–ბ6, დ1, დ14, დ15, დ19 და დ20 პუნქტების შეცვლა, 39ბ, 39ზ და 39ფ პუნქტების გაუქმება და 29ა, ბ8–ბ8ზ, ბ9, დ19ა–დ19გ, დ33, ე1 და ე2 პუნქტების დამატება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები იმ პერიოდში უნდა გამოიყენოს, როდესაც გამოიყენებს ფასს 9-ს.

39ჩ. 2014 წლის აგვისტოში გამოცემულმა დოკუმენტმა - *„წილობრივი მეთოდი ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში“* (ბასს 27-ის შესწორებები) - გამოიწვია დ14 პუნქტის შეცვლა და დ15ა პუნქტის დამატება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2016 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო ამ ცვლილებებს უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.

39ც. [გაუქმებულია]

39ძ. 2016 წლის იანვარში გამოცემულმა ფასს 16-მა - *„იჯარა“* - გამოიწვია 30-ე, გ4, დ1, დ7, დ8ბ და დ9 პუნქტების შეცვლა, დ9ა პუნქტის გაუქმება და დ9ბ–დ9ე პუნქტების დამატება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები იმ პერიოდში უნდა გამოიყენოს, როდესაც გამოიყენებს ფასს 16-ს.

39წ. ფასიკ 22-მა - *„ოპერაციები უცხოურ ვალუტაში და ანაზღაურება ავანსად“* - გამოიწვია დ36 პუნქტის დამატება და დ1 პუნქტის შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები იმ პერიოდში უნდა გამოიყენოს, როდესაც გამოიყენებს ფასიკ 22-ს.

39ჭ. 2016 წლის დეკემბერში გამოცემულმა დოკუმენტმა - *„ფასს სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესება - 2014-2016 წლების ციკლი“* - გამოიწვია 39მ და 39უ პუნქტების შეცვლა და 39დ, 39ვ, 39ც და ე3–ე7 პუნქტების გაუქმება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.

39ხ. *[ეს პუნქტი ისეთ ცვლილებებს ეხება, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული და ამიტომ გათვალისწინებული არ არის ამ გამოცემაში.]*

39ჯ. *[ეს პუნქტი ისეთ ცვლილებებს ეხება, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული და ამიტომ გათვალისწინებული არ არის ამ გამოცემაში.]*

39ჰ. ფასიკ 23-მა - *„მოგების გადასახადის გამოთვლის მიდგომებთან დაკავშირებული გაურკვევლობა“* - გამოიწვია ე8 პუნქტის დამატება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილება იმ პერიოდში უნდა გამოიყენოს, როდესაც გამოიყენებს ფასიკ 23-ს.

39აა. *[ეს პუნქტი ისეთ ცვლილებებს ეხება, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული და ამიტომ გათვალისწინებული არ არის ამ გამოცემაში.]*

## ფასს 1-ის გაუქმება (გამოცემული 2003 წელს)

40. წინამდებარე სტანდარტი ცვლის 2003 წელს გამოცემულ და 2008 წლის მაისში შეცვლილ ფასს 1-ს.

# დანართი ა

# ტერმინების განმარტება

*წინამდებარე დანართი ამ ფასს სტანდარტის განუყოფელი ნაწილია.*

| | |
|---|---|
| **ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღი** | ყველაზე ადრინდელი პერიოდის დასაწყისი, რომლისთვისაც საწარმო წარადგენს სრულყოფილ შესადარის ინფორმაციას ფასს სტანდარტების შესაბამისად, **ფასს სტანდარტების შესაბამის პირველ ფინანსურ ანგარიშგებაში.** |
| **დასაშვები საწყისი ღირებულება** | თვითღირებულების ან ამორტიზებული ღირებულების შემცვლელად გამოყენებული სიდიდე მოცემული თარიღისათვის. შემდგომში დარიცხული ცვეთა ან ამორტიზაცია გულისხმობს, რომ საწარმომ თავდაპირველად აქტივი ან ვალდებულება მოცემული თარიღისათვის აღიარა და მისი ღირებულება დასაშვებ საწყის ღირებულებას უდრიდა. |
| **სამართლიანი ღირებულება** | სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებული ან გადახდილი იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების გადაცემისას, ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციის დროს შეფასების თარიღისთვის. (იხ ფასს 13) |
| **ფასს სტანდარტების შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება** | პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგება, რომელშიც საწარმო იყენებს **ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს (ფასს სტანდარტებს),** ფასს სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ მისი აშკარა და უპირობო განაცხადის შესაბამისად. |
| **ფასს სტანდარტების შესაბამისი პირველი საანგარიშგებო პერიოდი** | ბოლო საანგარიშგებო პერიოდი, რომელსაც მოიცავს საწარმოს **ფასს სტანდარტების შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება.** |
| **საწარმო, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს** | საწარმო, რომელიც წარადგენს **ფასს სტანდარტების შესაბამის პირველ ფინანსურ ანგარიშგებას.** |
| **ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ფასს სტანდარტები)** | ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ მიღებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები. მოიცავს:<br>ა) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს;<br>ბ) ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს;<br>გ) ინტერპრეტაციებს, რომლებიც შემუშავებულია ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის მიერ; და<br>დ) ინტერპრეტაციებს, რომლებიც შემუშავებულია ყოფილი ინტერპრეტაციების მუდმივმოქმედი კომიტეტის მიერ[1]. |
| **ფასს სტანდარტების შესაბამისი საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება** | საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია **ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღისათვის.** |
| **ადრინდელი საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპები** | აღრიცხვის საფუძველი, რომელსაც ფასს სტანდარტებამდე იყენებდა **საწარმო, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს**. |

1. ფასს სტანდარტების განმარტება შეიცვალა მას შემდეგ, რაც 2010 წელს წელს ფასს სტანდარტების ფონდის გადასინჯული კონსტიტუციის შემდეგ შეიცვალა სახელწოდებები.

# დანართი ბ

# გამონაკლისები სხვა ფასს სტანდარტების რეტროსპექტულ გამოყენებაში

*წინამდებარე დანართი ფასს სტანდარტის განუყოფელი ნაწილია.*

ბ1. საწარმომ უნდა გამოიყენოს შემდეგი შეღავათები:

ა) ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა (პუნქტები ბ2 და ბ3);

ბ) ჰეჯირების აღრიცხვა (პუნქტები ბ4-ბ6);

გ) არამაკონტროლებელი წილები (პუნქტი ბ7);

დ) ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შეფასება (პუნქტები ბ8-ბ8გ);

ე) ფინანსური აქტივების გაუფასურება (პუნქტები ბ8დ-ბ8ზ);

ვ) ჩართული წარმოებული ინსტრუმენტები (პუნქტი ბ9); და

ზ) სახელმწიფო სესხები (ბ10-ბ12).

## ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ბ2. გარდა ბ3 პუნქტით დაშვებული შემთხვევებისა, საწარმომ, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს, ფასს 9-ით გათვალისწინებული აღიარების შეწყვეტის მოთხოვნები უნდა გამოიყენოს პერსპექტიულად იმ ოპერაციებისათვის, რომლებიც განხორციელდა ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღისთვის, ან მის შემდეგ. მაგალითად, თუ საწარმომ, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს, მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების თანახმად შეწყვიტა არაწარმოებული ფინანსური აქტივის ან არაწარმოებული ფინანსური ვალდებულების აღიარება, როგორც ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღამდე შესრულებული ოპერაციის შედეგი, მაშინ მან ეს აქტივები და ვალდებულებები არ უნდა აღიაროს ფასს სტანდარტების შესაბამისად (იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ისინი აღიარების კრიტერიუმებს აკმაყოფილებს უფრო გვიანდელი ოპერაციის ან მოვლენის შედეგად).

ბ3. ბ2 პუნქტის მოთხოვნების მიუხედავად, საწარმოს ფასს 9-ის აღიარების შეწყვეტის მოთხოვნების გამოყენება შეუძლია რეტროსპექტულად საწარმოს მიერ არჩეული თარიღიდან იმ პირობით, თუ ინფორმაცია, რომელიც საჭიროა ფასს 9-ის გამოსაყენებლად ისეთი ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების მიმართ, რომელთა აღიარება შეწყდა წარსული ოპერაციებიდან გამომდინარე, მოპოვებული იყო ამ ოპერაციების თავდაპირველი აღრიცხვის თარიღისათვის.

## ჰეჯირების აღრიცხვა

ბ4. როგორც ფასს 9-ით მოითხოვება, ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღისათვის საწარმო ვალდებულია:

ა) ყველა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი შეაფასოს სამართლიანი ღირებულებით; და

ბ) ისეთი წარმოებული ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი ყველა გადავადებული ზარალი და შემოსულობა, რომელიც წარდგენილი იყო ფინანსურ ანგარიშგებაში მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების თანახმად, გააუქმოს და ისე წარმოადგინოს, თითქოს აქტივები ან ვალდებულებები ყოფილიყოს.

ბ5. საწარმომ ფასს სტანდარტების შესაბამის საწყის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ უნდა ასახოს ისეთი ტიპის ჰეჯირების ურთიერთობა, რომელიც არ აკმაყოფილებს ჰეჯირების აღრიცხვის კრიტერიუმებს ფასს 9-ის შესაბამისად (როგორიცაა, მაგალითად მრავალი სახის ჰეჯირების ურთიერთობა, სადაც ჰეჯირების ინსტრუმენტი განცალკევებული გაყიდული ოფციონი ან ნეტო გაყიდული ოფციონია; ან ჰეჯირებული მუხლი „ნეტო პოზიციაა“ სავალუტო რისკის გარდა რომელიმე სხვა რისკის ფულადი ნაკადების ჰეჯირებაში). თუმცა, თუ საწარმოს

მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების შესაბამისად ესა თუ ის ნეტო პოზიცია, საკუთარი შეხედულებისამებრ, კლასიფიცირებული ჰქონდა ჰეჯირებულ მუხლად, მას, საკუთარი შეხედულებისამებრ, შეუძლია ამ ნეტო პოზიციის ფარგლებში ცალკეული მუხლის ან თვითონ ნეტო პოზიციის კლასიფიცირება ჰეჯირებულ მუხლად ფასს სტანდარტების შესაბამისად, თუ იგი აკმაყოფილებს ფასს 9-ის 6.6.1 პუნქტის მოთხოვნებს, იმ პირობით, თუ ამას გააკეთებს არა უგვიანეს ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღისა.

ბ6. თუ ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღამდე საწარმომ ოპერაცია, საკუთარი შეხედულებისამებრ, განსაზღვრა, როგორც ჰეჯირება, მაგრამ იგი არ აკმაყოფილებს ჰეჯირების აღრიცხვის პირობებს ფასს 9-ის შესაბამისად, საწარმომ ფასს 9-ის 6.5.6 და 6.5.7 პუნქტები უნდა გამოიყენოს, რათა შეწყვიტოს ჰეჯირების აღრიცხვა. საწარმომ ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღამდე განხორციელებულ ოპერაციებს რეტროსპექტულად არ უნდა მიანიჭოს ჰეჯირების კლასიფიკაცია.

### არამაკონტროლებელი წილი

ბ7. საწარმომ, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს, ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღიდან პერსპექტიულად უნდა გამოიყენოს ფასს 10-ის შემდეგი მოთხოვნები:

ა) ბ94 პუნქტის მოთხოვნა, რომლის თანახმად მთლიანი სრული შემოსავალი მიეკუთვნება მშობელი საწარმოს მესაკუთრეებსა და არამაკონტროლებელ წილს მაშინაც კი, თუ ეს გამოიწვევს არამაკონტროლებელი წილის უარყოფით ნაშთს;

ბ) 23-ე და ბ96 პუნქტების მოთხოვნები, რომლებიც ეხება შვილობილ საწარმოში მშობელი საწარმოს საკუთრების წილის დონეში მომხდარი ისეთი ცვლილებების აღრიცხვას, რომელიც არ იწვევს შვილობილ საწარმოზე კონტროლის დაკარგვას; და

გ) ბ97-ბ99 პუნქტების მოთხოვნები შვილობილ საწარმოზე კონტროლის დაკარგვის აღრიცხვის წესის შესახებ და ფასს 5-ის – *„გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები“* – (8ა) პუნქტის შესაბამისი მოთხოვნები.

თუმცა, თუ საწარმო, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს, ამჯობინებს ფასს 3-ის რეტროსპექტულად გამოყენებას წარსული პერიოდის საწარმოთა გაერთიანებებისათვის, მან იმავდროულად უნდა გამოიყენოს ფასს 10-იც, წინამდებარე სტანდარტის გ1 პუნქტის შესაბამისად.

### ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია და შეფასება

ბ8. საწარმომ ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღისთვის არსებული ფაქტებისა და გარემოებების საფუძველზე უნდა შეაფასოს, ფინანსური აქტივი აკმაყოფილებს თუ არა ფასს 9-ის 4.1.2 ან 4.1.2ა პუნქტის პირობებს.

ბ8ა. როდესაც შეუძლებელია მოდიფიცირებული ფულის დროითი ღირებულების ელემენტის შეფასება ფასს 9-ის ბ4.1.9.ბ–ბ4.1.9.დ პუნქტების შესაბამისად, ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღისთვის არსებული ფაქტებისა და გარემოებების საფუძველზე, საწარმომ ამ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადის მახასიათებლები ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღისთვის არსებულ ფაქტებსა და გარემოებებზე დაყრდნობით ისე უნდა შეაფასოს, რომ მხედველობაში არ მიიღოს ფასს 9-ის ბ4.1.9.ბ–ბ4.1.9.დ პუნქტების მოთხოვნები, რომლებიც ეხება ფულის დროითი ღირებულების ელემენტის მოდიფიცირებას (ამ შემთხვევაში, საწარმომ ასევე უნდა გამოიყენოს ფასს 7-ის 42ს პუნქტი, მაგრამ იქ, სადაც მითითებულია იხ. „ფასს 9-ის 7.2.4 პუნქტი“, უნდა იგულისხმოს წინამდებარე პუნქტი, ხოლო ფრაზაში „ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარება“, უნდა იგულისხმოს „ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღი“).

ბ8ბ. როდესაც ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღისთვის არსებულ ფაქტებსა და გარემოებებზე დაყრდნობით შეუძლებელია ფასს 9-ის ბ4.1.12(გ) პუნქტის შესაბამისად იმის შეფასება, წინასწარგადახდის პირობის სამართლიანი ღირებულება უმნიშვნელოა თუ არა, საწარმომ ამ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადის მახასიათებლები ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღისთვის არსებულ ფაქტებსა და გარემოებებზე დაყრდნობით ისე უნდა შეაფასოს, რომ მხედველობაში არ მიიღოს ფასს 9-ის ბ4.1.12 პუნქტით გათვალი-

სწინებული გამონაკლისი, რომელიც ეხება წინასწარგადახდის ელემენტს. (ამ შემთხვევაში საწარმომ ასევე უნდა გამოიყენოს ფასს 7-ის 42ტ პუნქტი, მაგრამ იქ სადაც მითითებულია იხ. „ფასს 9-ის 7.2.5 პუნქტი“, უნდა იგულისხმოს წინამდებარე პუნქტი, ხოლო ფრაზაში „ფინან-სური აქტივის თავდაპირველი აღიარება“ უნდა იგულისხმოს „ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღი“).

გ8გ. როდესაც საწარმოსთვის შეუძლებელია (როგორც ეს ტერმინი განმარტებულია ბასს 8-ში) ფასს 9-ის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის რეტროსპექტულად გამოყენება, ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღით განსაზღვრული ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების სამართლიანი ღირებულება იქნება ამ ფინანსური აქტივის ახალი მთლიანი (ბრუტო) საბალანსო ღირებულება, ან ამ ფინანსური ვალდებულების ახალი ამორტიზებული ღირებულება ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღით.

## ფინანსური აქტივების გაუფასურება

ბ8დ. საწარმომ ფასს 9-ის 5.5 ნაწილში მოცემული გაუფასურების მოთხოვნები რეტროსპექტულად უნდა გამოიყენოს, ბ8ე-ბ8ზ და ე1-ე2 პუნქტების მოთხოვნების გათვალისწინებით.

ბ8ე. ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღით საწარმომ უნდა გამოიყენოს მიზანშეუწონელი დანახარჯების და ძალისხმევის გარეშე ხელმისაწვდომი გონივრული და ღირებული ინფორმაცია იმისათვის, რომ განსაზღვროს საკრედიტო რისკი ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარების თარიღით (ან სესხის გაცემის ვალდებულებებისა და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებისთვის იმ თარიღით, როდესაც საწარმო გახდა შეუქცევადი სახელშეკრულებო ვალდებულების მონაწილე მხარე ფასს 9-ის 5.5.6 პუნქტის შესაბამისად) და შეუდაროს საკრედიტო რისკს ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღით (იხ. აგრეთვე ფასს 9-ის პუნქტები ბ7.2.2–ბ7.2.3).

ბ8ვ. იმის დასადგენად, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საწარმოს შეუძლია გამოიყენოს:

ა) 5.5.10 და ბ5.5.22–ბ5.5. 29 პუნქტების მოთხოვნები; და

ბ) 5.5.11 პუნქტში აღწერილი უარყოფადი ვარაუდი, სახელშეკრულებო გადახდებთან მიმართებით, რომლებიც 30 დღეზე მეტი ხნით არის ვადაგადაცილებული, თუ საწარმო გაუფასურებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს გამოიყენებს ამ ფინანსური ინსტრუმენტე-ბისთვის, მათი თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის გამოვლენის გზით, გადახდების ვადაგადაცილების შესახებ წარსული ინფორმაციის საფუძველზე.

ბ8ზ. თუ ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღისთვის მიზანშეუწონელი დანახარჯების გაწევა ან ძალისხმევა დასჭირდება იმის დადგენას, ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საწარმომ თითოეული საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით უნდა აღიაროს ზარალის რეზერვი იმ ოდენობით, რომელიც ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლია, ამ ფინანსური ინსტრუმენტის აღიარების შეწყვეტამდე (იმ შემთხვევის გარდა, როდესაც მოცემულ ფინანსურ ინსტრუმენტს საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით დაბალი საკრედიტო რისკი აქვს, რა შემთხვევაშიც საწარმომ უნდა გამოიყენოს ბ8ვ(ა) პუნქტი).

## ჩართული წარმოებული ინსტრუმენტები

ბ9. საწარმომ, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს, უნდა შეაფასოს, მოითხოვება თუ არა ჩართული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების განცალკევება ძირითადი ხელშეკრუ-ლებიდან და ჩართული წარმოებული ინსტრუმენტი უნდა აისახოს თუ არა იმ პირობების საფუძველზე, რომლებიც არსებობდა შემდეგი ორი თარიღიდან უფრო გვიანი თარიღისთვის: თარიღი, როდესაც ის პირველად გახდა ხელშეკრულების მონაწილე მხარე და ინსტრუმენტის ხელახალი შეფასების თარიღი, რაც მოითხოვება ფასს 9-ის ბ4.3.11 პუნქტით.

 © IFRS Foundation

### სახელმწიფო სესხები

ბ10. საწარმომ, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს, ყველა სახელმწიფო სესხის კლასიფიცირება უნდა მოახდინოს ბასს 32-ის – *„ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა“* - შესაბამისად, იმის მიუხედავად, სესხი მიღებული აქვს როგორც ფინანსური ვალდებულება, თუ წილობრივი ინსტრუმენტი. ბ11 პუნქტით ნებადართული მიდგომის მიუხედავად, საწარმომ, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს, ფასს 9-ისა – *„ფინანსური ინსტრუმენტები“* და ბასს 20-ის – *„სახელმწიფო გრანტების ბუღალტრული აღრიცხვა და სახელმწიფო დახმარების განმარტებითი შენიშვნები“* – მოთხოვნები უნდა გამოიყენოს პერსპექტიულად სახელმწიფო სესხების მიმართ, რომლებიც არსებობდა ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღისთვის. ამასთან, სახელმწიფო სესხით განპირობებული შესაბამისი სარგებელი არ უნდა აღიაროს როგორც სახელმწიფო გრანტი საბაზრო საპროცენტო განაკვეთზე დაბალი განაკვეთით. შესაბამისად, თუ საწარმო, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს, მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების შესაბამისად არ აღიარებდა და არ აფასებდა სახელმწიფო სესხს საბაზრო საპროცენტო განაკვეთზე დაბალი განაკვეთით, ფასს სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისი საფუძვლით, მან ამ სესხისთვის, საბალანსო ღირებულება, რომელიც გააჩნდა ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღისთვის მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების შესაბამისად, უნდა გამოიყენოს, როგორც სესხის საბალანსო ღირებულება ფასს სტანდარტების შესაბამის საწყის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. საწარმომ ამგვარი სესხების შესაფასებლად ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღის შემდეგ უნდა გამოიყენოს ფასს 9.

ბ11. ბ10 პუნქტის მიუხედავად, საწარმოს უფლება აქვს ფასს 9-ისა და ბასს 20-ის მოთხოვნები გამოიყენოს რეტროსპექტულად, ნებისმიერი სახელმწიფო სესხის მიმართ, რომელიც წარმოიქმნა ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღამდე, იმ პირობით, თუ ამის განსახორციელებლად საჭირო ინფორმაცია მოპოვებული ჰქონდა მოცემული სესხის თავდაპირველი აღრიცხვის დროს.

ბ12. ბ10 და ბ11 პუნქტების მოთხოვნები და მითითებები ხელს არ უშლის საწარმოს, რომ გამოიყენოს დ19-დ19დ პუნქტებით გათვალისწინებული შეღავათები, რომლებიც ეხება ადრე აღიარებული ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიცირებას სამართლიანი ღირებულებით შეფასებისთვის, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ბ13. *[ეს პუნქტი ისეთ ცვლილებებს ეხება, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული და ამიტომ გათვალისწინებული არ არის ამ გამოცემაში.]*

# დანართი გ

## გამონაკლისები საწარმოთა გაერთიანებებისთვის

*წინამდებარე დანართი ფასს სტანდარტის განუყოფელი ნაწილია. საწარმომ დანართის მოთხოვნები უნდა გამოიყენოს იმ საწარმოთა გაერთიანებებისთვის, რომლებიც აღიარა ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღამდე. ეს დანართი საწარმომ უნდა გამოიყენოს მხოლოდ იმ საწარმოთა გაერთიანებებთან მიმართებით, რომლებიც განეკუთვნება ფასს 3-ის - „საწარმოთა გაერთიანება“ - მოქმედების სფეროს.*

გ1. საწარმოს, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს, უფლება აქვს არ გამოიყენოს ფასს 3 რეტროსპექტულად, საწარმოთა წარსული გაერთიანებების მიმართ (საწარმოთა გაერთიანებები, რომლებიც ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღამდე მოხდა). თუმცა, თუ საწარმო, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს, ხელახლა ამზადებს ინფორმაციას რომელიმე საწარმოთა გაერთიანებაზე ფასს 3-თან შესაბამისობის მისაღწევად, მან უნდა გადაიანგარიშოს ყველა მომდევნო თარიღის საწარმოთა გაერთიანების ინფორმაცია და ამავე თარიღიდან გამოიყენოს ასევე ფასს 10-იც. მაგალითად, თუ საწარმო, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს, ამჯობინებს 20X6 წლის 30 ივნისისათვის მომხდარი საწარმოთა გაერთიანების ინფორმაციის გადაანგარიშებას, მან უნდა გადაიანგარიშოს ყველა საწარმოთა გაერთიანების ინფორმაცია, რომლებიც 20X6 წლის 30 ივნისსა და ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღს შორის პერიოდში მოხდა და 20X6 წლის 30 ივნისიდან უნდა გამოიყენოს ასევე ფასს 10-იც.

გ2. საწარმოს არ სჭირდება ბასს 21-ის – *„უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები”* – რეტროსპექტული გამოყენება იმ სამართლიანი ღირებულების კორექტირებებისა და გუდვილისთვის, რომლებიც ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღამდე მომხდარ საწარმოთა გაერთიანებებში წარმოიშვა. თუ საწარმო ბასს 21-ს არ გამოიყენებს რეტროსპექტულად სამართლიანი ღირებულების კორექტირებებისა და გუდვილისთვის, მაშინ მან აღნიშნული მუხლები უნდა მიიჩნიოს საწარმოს (თავის) აქტივებად და ვალდებულებებად და არა შეძენილი საწარმოს აქტივებად და ვალდებულებებად. ამგვარად, ზემოაღნიშნული გუდვილი და სამართლიანი ღირებულების კორექტირებები ან უკვე გამოსახულია საწარმოს სამუშაო ვალუტაში, ან წარმოადგენს უცხოური ვალუტით განსაზღვრულ არაფულად მუხლებს, რომლებიც წარმოდგენილია მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების შესაბამისი გასაცვლელი სავალუტო კურსით.

გ3. საწარმოს შეუძლია ბასს 21-ის რეტროსპექტულად გამოყენება სამართლიანი ღირებულების კორექტირებებისა და გუდვილისთვის, რომლებიც წარმოშობილია:

ა) ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღამდე მომხდარ საწარმოთა ყველა გაერთიანებაში; ან

ბ) საწარმოთა ყველა გაერთიანებაში, რომელთა ხელახლა წარმოდგენასაც საწარმო აირჩევს ფასს 3-თან შესაბამისობის მისაღწევად, როგორც წინა გ1 პუნქტითაა დაშვებული.

გ4. თუ საწარმო, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს, ფასს 3-ს რეტროსპექტულად არ გამოიყენებს საწარმოთა ადრინდელი გაერთიანებისათვის, ამას საწარმოთა ამ გაერთიანებისათვის შემდეგი შედეგები ექნება:

ა) საწარმომ, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს, უნდა შეინარჩუნოს იგივე კლასიფიკაცია (როგორც შეძენა იურიდიული მყიდველის მიერ, უკუშეძენა იურიდიული შეძენილი საწარმოს მიერ, ან კაპიტალის წილების გაერთიანება), რაც ჰქონდა მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში;

ბ) საწარმომ, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს, წარსულ საწარმოთა გაერთიანებაში შეძენილი ყველა აქტივი და ვალდებულება უნდა აღიაროს ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღისათვის, გარდა:

(i) ზოგიერთი ფინანსური აქტივისა და ფინანსური ვალდებულებისა, რომელთა აღიარება შეწყდა მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებით (იხ. პუნქტი ბ2); და


© IFRS Foundation

(ii) აქტივებისა, მათ შორის გუდვილისა და ვალდებულებებისა, რომლებიც აღიარებული არ იყო მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებით მომზადებულ მყიდველი საწარმოს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და ასევე საწარმო ვერ აღიარებდა მათ შეძენილი საწარმოს ინდივიდუალურ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფასს სტანდარტების მიხედვით (იხ. ქვემოთ პუნქტები (ვ) -(ი)).

საწარმომ, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს, ნებისმიერი გამოწვეული ცვლილება უნდა აღიაროს გაუნაწილებელი მოგების (ან, თუ მისაღებია, საკუთარი კაპიტალის სხვა კატეგორიის) კორექტირებით, თუ ცვლილება გამოწვეული არაა ისეთი არამატერიალური აქტივის აღიარებიდან, რომელიც ადრე გუდვილის კატეგორიას მიეკუთვნებოდა (იხ. პუნქტი (ზ)(i));

გ) საწარმომ, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს, უნდა გამორიცხოს ფასს სტანდარტების შესაბამისი საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებით აღიარებული ნებისმიერი მუხლი, რომელიც არ აკმაყოფილებს აქტივად ან ვალდებულებად აღიარების კრიტერიუმებს ფასს სტანდარტების თანახმად. საწარმომ, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს, ამ პროცედურით გამოწვეული ცვლილება შემდეგნაირად უნდა აღრიცხოს:

(i) საწარმოს, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს, საწარმოთა წარსული გაერთიანება შეიძლება კლასიფიცირებული ჰქონდეს როგორც შეძენა, ასევე არამატერიალურ აქტივად ჰქონდეს აღიარებული ისეთი მუხლი, რომელიც არ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს ბასს 38-ის – *„არამატერიალური აქტივები”* – თანახმად. მან უნდა მოახდინოს ამ მუხლის (და, თუ არსებობს, დაკავშირებული გადავადებული გადასახადის და არამაკონტროლებელი წილის) ხელახალი კლასიფიკაცია როგორც გუდვილის ნაწილისა (თუ იგი უშუალოდ საკუთარ კაპიტალს არ აკლებს გუდვილს მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებით, იხ. პუნქტი (ზ)(i) და (ი));

(ii) საწარმომ, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს, გაუნაწილებელ მოგებაში უნდა აღიაროს ყველა დანარჩენი გამოწვეული ცვლილება.[2]

დ) ფასს ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულების შემდგომ შეფასებას მოითხოვს ისეთ საფუძველზე, რომელიც არ ეყრდნობა პირვანდელ ღირებულებას, როგორიცაა, მაგალითად, სამართლიანი ღირებულება. საწარმომ, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს, ეს აქტივები და ვალდებულებები ამავე საფუძველზე უნდა შეაფასოს ფასს სტანდარტების შესაბამის საწყის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მაშინაც კი, როცა ისინი შეძენილი ან აღებული იყო საწარმოთა წარსულ გაერთიანებაში. მან საბალანსო ღირებულებაში გამოწვეული ნებისმიერი ცვლილება უნდა აღიაროს გაუნაწილებელი მოგების (ან, თუ მისაღებია, საკუთარი კაპიტალის სხვა კატეგორიის) კორექტირებით, გუდვილის კორექტირების ნაცვლად;

ე) უშუალოდ საწარმოთა გაერთიანების შემდეგ, მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებით წარმოდგენილი, შეძენილი აქტივებისა და აღებული ვალდებულებების საბალანსო ღირებულება საწარმოთა ამ გაერთიანებაში ფასს სტანდარტების თანახმად იქნება მათი დასაშვები საწყისი ღირებულება ამ თარიღისათვის. თუ ფასს მოითხოვს მოცემული აქტივებისა და ვალდებულებების შეფასებას თვითღირებულების ბაზაზე უფრო გვიანი თარიღისათვის, დასაშვები საწყისი ღირებულება უნდა გახდეს თვითღირებულებაზე დაფუძნებული ცვეთის ან ამორტიზაციის დარიცხვის საფუძველი საწარმოთა გაერთიანების თარიღიდან;

---

2. ასეთი ცვლილებები მოიცავს რეკლასიფიცირებას არამატერიალურ აქტივებად ან პირიქით, თუ გუდვილი მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების მიხედვით აღიარებული არ იყო, როგორც აქტივი. ასე მაშინ ხდება, თუ მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების თანახმად საწარმომ (ა) გუდვილი გამოაკლო უშუალოდ კაპიტალს, ან (ბ) საწარმოთა გაერთიანებას არ განიხილავდა, როგორც შეძენას.

ვ) თუ საწარმოთა წარსული გაერთიანებისას შეძენილი აქტივი ან აღებული ვალდებულება აღიარებული არ იყო მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებით, საწარმოს ფასს სტანდარტების შესაბამის საწყის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ამ მუხლებს ნულის ტოლი დასაშვები საწყისი ღირებულება არა აქვს. ამის ნაცვლად, მყიდველმა საწარმომ ეს აქტივი ან ვალდებულება კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში უნდა აღიაროს და შეაფასოს ისეთ საფუძველზე, რაც ფასს სტანდარტებს მოთხოვნილი ექნებოდა შეძენილი საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. მაგალითად: თუ მყიდველ საწარმოს, მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების შესაბამისად, კაპიტალიზებული არ ჰქონდა საწარმოთა წარსულ გაერთიანებაში შეძენილი იჯარა, სადაც შეძენილი საწარმო იყო მოიჯარე, მან ამ იჯარის კაპიტალიზაცია უნდა მოახდინოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ისე, როგორც ამის გაკეთებას შეძენილი საწარმოსაგან მოითხოვს ფასს 16 - *„იჯარა“*, ფასს სტანდარტებით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. ანალოგიურად, თუ მყიდველ საწარმოს მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების შესაბამისად აღიარებული არ ჰქონდა პირობითი ვალდებულება, რომელიც ისევ არსებობს ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღისათვის, მყიდველმა ეს პირობითი ვალდებულება უნდა აღიაროს ამ თარიღისათვის, თუ ბასს 37 – *„ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და აქტივები“* – არ კრძალავს მის აღიარებას შეძენილი საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში. ამის საპირისპიროდ, თუ აქტივი ან ვალდებულება გუდვილს მიეკუთვნებოდა მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებით, მაგრამ ცალკე იქნებოდა აღიარებული ფასს 3-ის თანახმად, ეს აქტივი ან ვალდებულება გუდვილში რჩება, თუ ფასს არ მოითხოვს მის აღიარებას შეძენილი საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში;

ზ) გუდვილის საბალანსო ღირებულება ფასს სტანდარტების შესაბამის საწყის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში იქნება მისი საბალანსო ღირებულება, რომელიც განსაზღვრულია მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების მიხედვით ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღისათვის, ქვემოთ ჩამოთვლილი ორი კორექტირების შემდეგ:

(i) თუ მოთხოვნილია წინა (გ)(i) პუნქტით, საწარმომ, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს, მუხლების ხელახალი კლასიფიცირების დროს უნდა გაზარდოს იმ გუდვილის საბალანსო ღირებულება, რომელიც აღიარებულია არამატერიალურ აქტივად მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებით. ანალოგიურად, თუ წინა (ვ) პუნქტი საწარმოსაგან, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს, მოითხოვს არამატერიალური აქტივის აღიარებას, რომელიც მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებით გუდვილს იყო მიკუთვნებული, მან შესაბამისად უნდა შეამციროს გუდვილის საბალანსო ღირებულება (და შეასწოროს გადავადებული გადასახადი და არამაკონტროლებელი წილი, თუ აქვს ასეთი მუხლები);

(ii) იმისდა მიუხედავად, არსებობს თუ არა რაიმე სიმპტომი იმისა, რომ გუდვილი შეიძლება გაუფასურებული იყოს, საწარმომ, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს, ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღისათვის უნდა გამოიყენოს ბასს 36 – *„აქტივების გაუფასურება“* – გუდვილის გაუფასურების ტესტირებისათვის და გაუფასურებით გამოწვეული ნებისმიერი ზარალის აღიარებისათვის გაუნაწილებელ მოგებაში (ან გადაფასების ნამეტში, თუ ასეა მოთხოვნილი ბასს 36-ით). გაუფასურების ტესტი უნდა ემყარებოდეს ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღისათვის არსებულ პირობებს.

თ) ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღისათვის არ უნდა გაკეთდეს გუდვილის საბალანსო ღირებულების სხვა შესწორებები. მაგალითად, საწარმომ, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს, ხელახლა არ უნდა გამოითვალოს გუდვილის საბალანსო ღირებულება, რათა:

(i) გამორიცხოს საწარმოთა ამ გაერთიანებაში შეძენილი დაუმთავრებელი კვლევისა და განვითარების სამუშაოები (თუ შესაბამისი არამატერიალური აქტივი არ აკმაყოფი-

ლებს ბასს 38-ის კრიტერიუმებს იმისათვის, რომ აღიარდეს შეძენილი საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში);

(ii) შეასწოროს გუდვილის ადრინდელი ამორტიზაცია;

(iii) გააუქმოს გუდვილის ისეთი კორექტირებები, რომელსაც ფასს 3 არ დაუშვებდა, მაგრამ გაკეთდა მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების თანახმად აქტივებისა და ვალდებულებების შესწორებების გამო, საწარმოთა გაერთიანებისა და ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღებს შორის;

ი) თუ საწარმომ, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს, გუდვილი მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების თანახმად აღიარა, როგორც საკუთარი კაპიტალიდან გამოკლება, მან:

(i) გუდვილი არ უნდა აღიაროს ფასს სტანდარტების შესაბამის საწყის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. გარდა ამისა, მან ეს გუდვილი არ უნდა გადაიტანოს მოგებაში ან ზარალში, თუ ის ყიდის შვილობილ საწარმოს, ან ინვესტიცია შვილობილ საწარმოში გაუფასურდა;

(ii) შესწორებები, რომლებიც გამოწვეულია შესყიდვის ანაზღაურების თანხაზე გაუთვალისწინებელი გარემოების ზემოქმედების შემდგომში გადაჭრით, უნდა აღიარდეს გაუნაწილებელ მოგებაში;

კ) საწარმოს, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს, შეიძლება მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებით კონსოლიდირებული არ ჰქონდეს საწარმოთა წარსული გაერთიანებიდან შეძენილი შვილობილი საწარმო (მაგალითად იმის გამო, რომ მშობელი საწარმო არ განიხილავდა მას შვილობილ საწარმოდ მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებით, ან არ წარადგენდა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას). საწარმომ, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს, შვილობილი საწარმოს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები უნდა შეასწოროს და დაიყვანოს იმ ოდენობამდე, რომელსაც ფასს მოითხოვდა შვილობილი საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. გუდვილის დასაშვები საწყისი ღირებულება ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღისათვის ტოლია შემდეგი ორი სიდიდის სხვაობისა:

(i) მშობელი საწარმოს წილი ამ შესწორებულ საბალანსო ღირებულებებში; და

(ii) მშობელი საწარმოს ინვესტიციის ღირებულება შვილობილ საწარმოში, რომელიც ასახულია მის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში;

ლ) არამაკონტროლებელი წილისა და გადავადებული გადასახადის შეფასება მოჰყვება სხვა აქტივებისა და ვალდებულებების შეფასებას. ამის გამო, აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ზემოთ ნახსენები შესწორებები გავლენას ახდენს არამაკონტროლებელ წილსა და გადავადებულ გადასახადზე.

გ5. საწარმოთა წარსული გაერთიანებებისთვის დაშვებული გამონაკლისი ასევე ეხება მეკავშირე საწარმოებში ინვესტიციებისა და ერთობლივ საწარმოებსა და ერთობლივ ოპერაციებში წილების წარსულ შეძენებსაც, რომელთა საქმიანობა წარმოადგენს საწარმოს ფასს 3-ში მოცემული განმარტების შესაბამისად. უფრო მეტიც, (გ1) პუნქტისათვის შერჩეული თარიღი თანაბრად ეხება ყველა ასეთ შენაძენს.

# დანართი დ

## განთავისუფლება სხვა ფასს სტანდარტებიდან

*წინამდებარე დანართი მოცემული სტანდარტის განუყოფელი ნაწილია.*

დ1. საწარმოს უფლება აქვს აირჩიოს ერთი ან მეტი შემდეგი შეღავათის გამოყენება:

ა) აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციები (პუნქტები დ2 და დ3);

ბ) სადაზღვევო ხელშეკრულებები (პუნქტი დ4);

გ) დასაშვები საწყისი ღირებულება (პუნქტები დ5-დ8ბ);

დ) იჯარა (პუნქტები დ9ბ და დ9ე);

ე) [გაუქმებულია]

ვ) სხვა ვალუტაში გადაყვანით წარმოშობილი დაგროვილი საკურსო სხვაობები (პუნქტები დ12 და დ13);

ზ) ინვესტიციები შვილობილ, მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში (პუნქტები დ14 - დ15ა);

თ) შვილობილი საწარმოების, მეკავშირე საწარმოებისა და ერთობლივი საწარმოების აქტივები და ვალდებულებები (პუნქტები დ16 და დ17);

ი) რთული ფინანსური ინსტრუმენტები (პუნქტი დ18);

კ) ადრე აღიარებული ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიცირება საწარმოს შეხედულებისამებრ (პუნქტები დ19- დ19გ);

ლ) ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებით შეფასება საწყისი აღიარების დროს (პუნქტი დ20);

მ) ძირითადი საშუალების თვითღირებულებაში ასახული ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულებები (პუნქტები დ21 და დ21ა);

ნ) ფასიკ 12-ის – „*მომსახურებაზე კონცესიური შეთანხმებები*“ – შესაბამისად აღრიცხული ფინანსური აქტივი ან არამატერიალური აქტივი (პუნქტი დ22);

ო) ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები (პუნქტი დ23); და

პ) [გაუქმებულია];

ჟ) ფინანსური ვალდებულებების დაფარვა წილობრივი ინსტრუმენტებით (პუნქტი დ25);

რ) მძიმე ჰიპერინფლაცია (პუნქტები დ26-დ30);

ს) ერთობლივი საქმიანობა (პუნქტი დ31);

ტ) ღია წესით დასამუშავებელი საბადოს ექსპლუატაციის ეტაპზე გაწეული საბადოს გადახსნის დანახარჯები (პუნქტი დ32);

უ) არაფინანსური მუხლის ყიდვის ან გაყიდვის ხელშეკრულებების კლასიფიცირება საწარმოს შეხედულებისამებრ (პუნქტი დ33);

ფ) ამონაგები (პუნქტები დ34 და დ35); და

ქ) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში და ანაზღაურება ავანსად (პუნქტი დ36).

საწარმომ ზემოაღნიშნული შეღავათები ანალოგიურად არ უნდა გამოიყენოს სხვა მუხლების მიმართაც.

### აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციები

დ2. საწარმოს, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს, რეკომენდაცია ეძლევა, მაგრამ არ მოეთხოვება, ფასს 2-ის – *„აქციებზე დაფუძნებული გადახდა“* - გამოყენება წილობრივი ინსტრუმენტებისათვის, რომელიც გადასაცემად გამოყოფილი იყო 2002 წლის 7 ნოემბერს ან მანამდე. საწარმოს, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს, ასევე ეძლევა რეკომენდაცია,

 © IFRS Foundation

მაგრამ არ მოეთხოვება ფასს 2-ის გამოყენება იმ წილობრივი ინსტრუმენტების მიმართაც, რომელიც გადასაცემად გამოყოფილი იყო 2002 წლის 7 ნოემბრის შემდეგ და უფლებამოსილებაში გადავიდა (ა) ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღსა და (ბ) 2005 წლის 1 იანვარს შორის უფრო გვიანდელ თარიღამდე. თუმცა, თუ საწარმო, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს, ფასს 2-ის გამოყენებას ირჩევს ამგვარი წილობრივი ინსტრუმენტებისათვის, მას ამის გაკეთება მხოლოდ მაშინ შეუძლია, თუ საჯაროდ აქვს განმარტებული ამ წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, დადგენილი შეფასების თარიღისათვის, როგორც ფასს 2-ითაა განსაზღვრული. ყველა გადასაცემად გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტებისთვის, რომლისთვისაც ფასს 2 არ იქნება გამოყენებული (მაგალითად, წილობრივი ინსტრუმენტები, რომლებიც გადასაცემად გამოყოფილია 2002 წლის 7 ნოემბერს ან მანამდე), საწარმომ, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს, მაინც უნდა განმარტოს შენიშვნებში ფასს 2-ის 44-ე და 45-ე პუნქტებით მოთხოვნილი ინფორმაცია. თუ საწარმო, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს, ცვლის იმ წილობრივი ინსტრუმენტების გამოყოფის პირობებს ან ვადებს, რომლისთვისაც ფასს 2 არ გამოიყენებოდა, მას არ მოეთხოვება ფასს 2-ის 26-29-ე პუნქტების გამოყენება, თუ ცვლილება მოხდა ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღამდე.

დ3. საწარმოს, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს, რეკომენდაცია ეძლევა, მაგრამ არ მოეთხოვება, ფასს 2-ის გამოყენება ვალდებულებებისათვის, რომლებიც წარმოიშობა აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციებიდან და გადახდილია ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღამდე. საწარმოს, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს ასევე რეკომენდაცია ეძლევა, მაგრამ არ მოეთხოვება ფასს 2-ის გამოყენება იმ ვალდებულებებისთვისაც, რომლებიც გადახდილია 2005 წლის 1 იანვრამდე. საწარმოს, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს, არ მოეთხოვება შესადარისი ინფორმაციის ხელახლა ჩამოყალიბება (გდაანგარიშება) ვალდებულებისათვის, რომლისთვისაც გამოყენებულია ფასს 2 იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც ეს ინფორმაცია უკავშირდება პერიოდს ან თარიღს, რომელიც 2002 წლის 7 ნოემბერზე ადრინდელია.

### სადაზღვევო ხელშეკრულებები

დ4. საწარმომ, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს, შეიძლება გამოიყენოს ფასს 4-ის – „*სადაზღვევო ხელშეკრულებები*” – გარდამავალი დებულებები. ფასს 4 ზღუდავს სადაზღვევო ხელშეკრულებების სააღრიცხვო პოლიტიკაში ცვლილებებს, მათ შორის იმ საწარმოებისთვისაც, რომლებიც პირველად იყენებენ ფასს სტანდარტებს.

### დასაშვები საწყისი ღირებულება

დ5. საწარმოს შეუძლია გადაწყვიტოს ძირითადი საშუალებების მუხლის შეფასება მისი სამართლიანი ღირებულებით ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღისათვის და ეს სამართლიანი ღირებულება გამოიყენოს როგორც მისი დასაშვები საწყისი ღირებულება მოცემული თარიღისათვის.

დ6. საწარმომ, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს, შეიძლება გადაწყვიტოს, რომ ძირითადი საშუალებების მუხლის გადაფასება მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების მიხედვით, რომელიც შესრულებულია ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღისათვის ან მანამდე, გამოიყენოს, როგორც დასაშვები საწყისი ღირებულება გადაფასების თარიღისათვის, თუ გადაფასება გადაფასების თარიღისათვის, ძირითადად, შესადარისი იყო:

ა) სამართლიანი ღირებულების; ან

ბ) ფასს სტანდარტების შესაბამისი თვითღირებულების ან ამორტიზებული ღირებულების, რომელიც კორექტირებული იყო, მაგალითად, საერთო ან კერძო ფასების ინდექსის ცვლილებების გათვალისწინებით.

დ7. დ5 და დ6 პუნქტების არჩევანის უფლების გამოყენება ასევე შესაძლებელია:

ა) საინვესტიციო ქონებისათვის, თუ საწარმო გადაწყვეტს ბასს 40-ის – „*საინვესტიციო ქონება*” – თვითღირებულების მოდელის გამოყენებას;

აა) აქტივების გამოყენების უფლებებისთვის (ფასს 16 – „*იჯარა*“); და

ბ) არამატერიალური აქტივებისათვის, რომლებიც აკმაყოფილებს:

(i) ბასს 38-ის აღიარების კრიტერიუმს (მათ შორის, საწყისი ღირებულების საიმედოდ შეფასებას); და

(ii) ბასს 38-ის გადაფასების კრიტერიუმს (მათ შორის აქტიური ბაზრის არსებობას).

საწარმომ ეს უფლება და გადაწყვეტილებები არ უნდა გამოიყენოს სხვა აქტივებისა და ვალდებულებებისათვის.

დ8. საწარმოს, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს, დასაშვები საწყისი ღირებულება შეიძლება დადგენილი ჰქონდეს მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებით ზოგიერთი ან ყველა აქტივისა და ვალდებულებისათვის, კერძოდ, მათი შეფასების საფუძველზე სამართლიანი ღირებულებით გარკვეული თარიღისთვის ისეთი მოვლენის გამო, როგორიცაა პრივატიზაცია, ან პირველი საჯარო შეთავაზება.

ა) თუ შეფასების თარიღი არის ფასს სტანდარტებზე *გადასვლის თარიღი, ან უფრო ადრინდელი* თარიღი, საწარმოს უფლება აქვს ამგვარი მოვლენებით განპირობებული სამართლიანი ღირებულების შეფასება გამოიყენოს როგორც დასაშვები საწყისი ღირებულება ფასს სტანდარტების მიზნებისთვის, შეფასების თარიღისათვის;

ბ) თუ შეფასების თარიღი ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღის შემდგომი თარიღია, მაგრამ იმ საანგარიშგებო პერიოდის, რომელსაც მოიცავს საწარმოს ფასს სტანდარტების შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება, გარკვეული მოვლენებით გამოწვეული სამართლიანი ღირებულების შეფასების გამოყენება დასაშვებ საწყის ღირებულებად შესაძლებელია მაშინ, როდესაც ეს მოვლენები მოხდება. საწარმომ შესაბამისი კორექტირების თანხები უნდა აღიაროს პირდაპირ გაუნაწილებელ მოგებაში (ან, აუცილებლობის შემთხვევაში, საკუთარი კაპიტალის რომელიმე სხვა კატეგორიაში) შეფასების თარიღისათვის. ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღისათვის საწარმომ დასაშვები საწყისი ღირებულება უნდა განსაზღვროს ან დ5-დ7 პუნქტებში ჩამოყალიბებული კრიტერიუმების შესაბამისად, ან აქტივები და ვალდებულებები შეაფასოს წინამდებარე სტანდარტის სხვა მოთხოვნების შესაბამისად.

დ8ა. ზოგიერთი ქვეყნის ბუღალტრული აღრიცხვის ეროვნული მოთხოვნებით ნავთობისა და გაზის ქონების ძიებისა და შეფასების დანახარჯები დამუშავების ან წარმოების ეტაპებზე აისახება იმ დანახარჯთა ცენტრებში, რომლებიც მოიცავს ამა თუ იმ დიდ გეოგრაფიულ რეგიონში განთავსებულ ყველა ქონებას. საწარმომ, რომელიც აღრიცხვის ამგვარ წესს იყენებდა მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების მიხედვით, შეუძლია ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღისათვის ნავთობისა და გაზის აქტივების შესაფასებლად აირჩიოს შემდეგი საფუძველი:

ა) ძიებისა და შეფასების აქტივები – მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების შესაბამისად განსაზღვრული თანხა; და

ბ) დამუშავების ან წარმოების ეტაპებზე მყოფი აქტივებისთვის თანხა, რომელიც განსაზღვრულია დანახარჯთა ცენტრისთვის, მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების შესაბამისად. საწარმომ ეს თანხა შესაბამისი აქტივების დანახარჯთა ცენტრს უნდა მიაკუთვნოს ამ თარიღისთვის გამოყენებული მარაგის მოცულობის ან მარაგის ღირებულების პროპორციულად.

საწარმომ ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღისთვის უნდა ჩაატაროს გაუფასურების ტესტი: ძიებისა და შეფასების აქტივებისთვის ფასს 6-ის – „*მინერალური რესურსების მარაგის ძიება და შეფასება*“ შესაბამისად, ხოლო დამუშავებისა და წარმოების ეტაპებზე მყოფი აქტივებისთვის – ბასს 36-ის შესაბამისად და, თუ აუცილებელია, შეამციროს მოცემული პუნქტის (ა) ან (ბ) ქვეპუნქტების მიხედვით განსაზღვრული თანხა. წინამდებარე პუნქტის მიზნებისთვის ნავთობისა და გაზის აქტივები მოიცავს მხოლოდ იმ აქტივებს, რომლებიც გამოიყენება ნავთობისა და გაზის ძიების, შეფასების, დამუშავების სამუშაოების ან წარმოებისთვის.

დ8ბ. ზოგიერთ საწარმოს გააჩნია ისეთი ძირითადი საშუალებები, აქტივების გამოყენების უფლებები, ან არამატერიალური აქტივები, რომლებიც გამოიყენება, ან ადრე გამოიყენებოდა ოპერაციებში,

 © IFRS Foundation

რომლებიც სატარიფო რეგულირებას ექვემდებარება. ამგვარი მუხლების საბალანსო ღირებულება შეიძლება მოიცავდეს ისეთ თანხებს, რომლებიც განსაზღვრული იყო მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებით, მაგრამ არ აკმაყოფილებს კაპიტალიზაციის კრიტერიუმებს ფასს სტანდარტების შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში, საწარმოს, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს, ამგვარი მუხლისთვის შეუძლია ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღისთვის არსებული, მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების შესაბამისი საბალანსო ღირებულება მიიჩნიოს დასაშვებ საწყის ღირებულებად. თუ საწარმო რომელიმე მუხლისთვის გამოიყენებს ამ გამონაკლის მიდგომას, აუცილებელი არ არის, იგივე მიდგომა გამოიყენოს ყველა მუხლისთვის. ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღისთვის, საწარმომ გაუფასურებაზე უნდა შეამოწმოს ყველა მუხლი, რომლისთვისაც გამოიყენა ზემოაღნიშნული გამონაკლისი მიდგომა. წინამდებარე პუნქტის მიზნებისთვის, მაშინ მიიჩნევა, რომ ოპერაციები (საქმიანობა) ექვემდებარება სატარიფო რეგულირებას, თუ მათ მიმართ გამოიყენება ფასების დადგენის რეჟიმი, რომლის დაწესებაც შეუძლია საწარმოს მომხმარებლებისთვის მიწოდებულ საქონელზე ან მომსახურებაზე და ამ რეჟიმს ზედამხედველობას უწევს ან/და ამტკიცებს ტარიფების მარეგულირებელი ორგანო. (როგორც ეს ტერმინი განმარტებული ფასს 14-ში - *„გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშები“*)

### იჯარა

დ9. საწარმოს, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს, უფლება აქვს, ამ თარიღისთვის არსებულ ფაქტებსა და გარემოებებზე დაყრდნობით, ფასს 16-ის მე-9-11 პუნქტების გამოყენებით შეაფასოს, ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღისთვის არსებული ესა თუ ის ხელშეკრულება შეიცავს თუ არა იჯარას.

დ9ბ. როდესაც საწარმო, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს, მოიჯარეა, რომელიც აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს და აქტივების გამოყენების უფლებებს, მას ქვემოთ აღწერილი მიდგომის გამოყენების უფლება აქვს ყველა იჯარასთან მიმართებით (დ9დ პუნქტში აღწერილი გამარტივებული მიდგომის გათვალისწინებით):

ა) საიჯარო ვალდებულება შეაფასოს ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღისთვის. მოიჯარემ ამ მიდგომის თანახმად, ეს საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს დარჩენილი საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების ტოლი თანხით (იხ. პუნქტი დ9ე), რომელიც დისკონტირებული იქნება ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთით;

ბ) აქტივის გამოყენების უფლება შეაფასოს ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღისთვის. მოიჯარეს უფლება აქვს თითოეული იჯარისთვის ცალ-ცალკე მიიღოს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, როგორ შეაფასებს აქტივის გამოყენების უფლებას:

(i) საბალანსო ღირებულებით ისე, თითქოს ფასს 16-ს იყენებდა იჯარის ვადის დაწყების თარიღამდე (იხ. დ9(ე), პუნქტი), მაგრამ მისი დისკონტირებით ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთით; ან

(ii) საიჯარო ვალდებულების ტოლი თანხით, რომელიც დაკორექტირებული იქნება იჯარასთან დაკავშირებით წინასწარ განხორციელებული ან დარიცხული საიჯარო გადახდების თანხით, რომელიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული იყო უშუალოდ ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღამდე;

გ) გამოიყენოს ბასს 36 აქტივების გამოყენების უფლებებთან მიმართებით, ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღით.

დ9გ. დ9ბ პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების მიუხედავად, მოიჯარეს, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს, აქტივის გამოყენების უფლების შეფასების უფლება აქვს ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღისთვის განსაზღვრული სამართლიანი ღირებულებით ისეთი იჯარისთვის, რომელიც აკმაყოფილებს ბასს 40-ის საინვესტიციო ქონების განმარტებას და ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღიდან შეფასებულია ბასს 40-ით გათვალისწინებული სამართლიანი ღირებულების მოდელით.

დ9დ. მოიჯარეს, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს, ერთი ან რამდენიმე ქვემოთ აღწერილი მიდგომის გამოყენების უფლება აქვს ცალკეულ იჯარასთან მიმართებით ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღისთვის:

ა) ერთი დისკონტირების განაკვეთი გამოიყენოს საკმარისად მსგავსი მახასიათებლების მქონე საიჯარო ხელშეკრულებების პორტფელთან მიმართებით (როგორიცაა, მაგალითად მსგავსი კლასის საიჯარო აქტივების საიჯარო ხელშეკრულებები, რომლებსაც მსგავსი დარჩენილი იჯარის ვადა აქვთ ანალოგიურ ეკონომიკურ გარემოში);

ბ) გადაწყვიტოს, რომ არ გამოიყენებს დ9ბ პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს ისეთ იჯარასთან მიმართებით, რომლისთვისაც იჯარის ვადა (იხ. დ9ე პუნქტი) იწურება ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღის შემდეგ 12 თვის განმავლობაში. ამის ნაცვლად, საწარმომ ეს იჯარა იმგვარად უნდა აღრიცხოს (მათ შორის, მის შესახებ ისეთი ინფორმაცია უნდა გაამჟღავნოს), თითქოს მოკლევადიანი იჯარაა, რომელიც აღირიცხება ფასს 16-ის მე-6 პუნქტის შესაბამისად;

გ) გადაწყვიტოს, რომ არ გამოიყენებს დ9ბ პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს ისეთ იჯარასთან მიმართებით, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს (როგორც აღწერილია ფასს 16-ის ბ3-ბ8 პუნქტებში). ამის ნაცვლად, საწარმომ ეს იჯარა უნდა აღრიცხოს (მათ შორის, მის შესახებ ინფორმაციაც უნდა გაამჟღავნოს) ფასს 16-ის მე-6 პუნქტის შესაბამისად;

დ) თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები არ გაითვალისწინოს (იხ. დ9ე პუნქტი) ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღისთვის განსაზღვრულ აქტივის გამოყენების უფლების შეფასებაში;

ე) რეტროსპექტული ხედვა (წარსული მოვლენების შეფასება) გამოიყენოს, მაგალითად იჯარის ვადის განსაზღვრისას, თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს იჯარის გაგრძელების ან ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლებას.

დ9ე. ტერმინები: საიჯარო გადახდები, მოიჯარე, მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი, იჯარის ვადის დაწყების თარიღი, თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები და იჯარის ვადა განმარტებულია ფასს 16-ში და წინამდებარე სტანდარტშიც იმავე მნიშვნელობით გამოიყენება, რაც ფასს 16-ში აქვს მინიჭებული.

დ10-
დ11. [გაუქმებულია]

### სხვა ვალუტაში გადაყვანით წარმოშობილი დაგროვილი საკურსო სხვაობები

დ12. ბასს 21 საწარმოსაგან მოითხოვს:

ა) სხვა ვალუტაში გადაყვანით წარმოშობილი საკურსო სხვაობების აღიარებას სხვა სრულ შემოსავალში და მის დაგროვებას საკუთარი კაპიტალის ცალკე კომპონენტის სახით; და

ბ) უცხოური ქვეგანაყოფის გაყიდვისას, ამ უცხოურ ქვეგანაყოფში დაგროვილი საკურსო სხვაობების (მათ შორის, თუ არსებობს, ჰეჯირებასთან დაკავშირებული შემოსულობისა და ზარალის) გადატანას საკუთარი კაპიტალიდან მოგებაში ან ზარალში, გაყიდვასთან დაკავშირებული შემოსულობის ან ზარალის ნაწილის სახით.

დ13. თუმცა, საწარმოს, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს, არ ევალება ამ მოთხოვნების დაცვა სხვა ვალუტაში გადაყვანით წარმოშობილი დაგროვილი საკურსო სხვაობების მიმართ, რომელიც არსებობდა ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღისათვის. თუ საწარმო, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს, გამოიყენებს ამ შეღავათს, მაშინ:

ა) ყველა უცხოური ქვედანაყოფისათვის, სხვა ვალუტაში გადაყვანით წარმოშობილი საკურსო სხვაობები მიიჩნევა ნულის ტოლად ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღისათვის; და

ბ) შემდგომში, ნებისმიერი უცხოური ქვედანაყოფის გაყიდვიდან წარმოშობილი შემოსულობა ან ზარალი უნდა გამორიცხავდეს ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღამდე წარმოშობილ საკურსო სხვაობებს და მოიცავდეს შემდგომ პერიოდში შესრულებული გადაყვანით წარმოშობილ საკურსო სხვაობებს.

 © IFRS Foundation

დ13ა. *[ეს პუნქტი ისეთ ცვლილებებს ეხება, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული და ამიტომ გათვალისწინებული არ არის ამ გამოცემაში.]*

### ინვესტიციები შვილობილ, ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებში

დ14. როდესაც საწარმო ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს, ბასს 27 მოითხოვს, რომ მისი ინვესტიციები შვილობილ, ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებში აღირიცხოს:

ა) თვითღირებულებით;

ბ) ფასს 9-ის შესაბამისად; ან

გ) წილობრივი მეთოდის გამოყენებით (როგორც აღწერილია ბასს 28-ში).

დ15. თუ საწარმო, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს, ამგვარ ინვესტიციებს თვითღირებულებით აფასებს ბასს 27-ის მიხედვით, მან ეს ინვესტიცია ფასს სტანდარტების შესაბამის საწყის ინდივიდუალურ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში უნდა შეაფასოს ქვემოთ ჩამოთვლილიდან ერთ-ერთი სიდიდით:

ა) თვითღირებულებით, რომელიც განსაზღვრულია ბასს 27-ის შესაბამისად; ან

ბ) დასაშვები საწყისი ღირებულებით. ამგვარი ინვესტიციის დასაშვები საწყისი ღირებულება იქნება:

(i) ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღისათვის განსაზღვრული სამართლიანი ღირებულება – ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში; ან

(ii) მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების შესაბამისი საბალანსო ღირებულება ამ თარიღისათვის.

საწარმოს, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს, უფლება აქვს აირჩიოს (i) ან (ii) მიდგომა შვილობილ, ერთობლივ ან მეკავშირე საწარმოებში ფლობილი ინვესტიციების შესაფასებლად, თუკი შეფასებისთვის გადაწყვეტს დასაშვები საწყისი ღირებულების გამოყენებას.

დ15ა. თუ საწარმო, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს, ამგვარ ინვესტიციებს წილობრივი მეთოდის პროცედურების გამოყენებით აღრიცხავს, როგორც აღწერილია ბასს 28-ში:

ა) იგი მოცემული ინვესტიციის შეძენის მიმართ იყენებს შეღავათს (განთავისუფლებას), რომელიც გათვალისწინებულია წარსული საწარმოთა გაერთიანებებისთვის (იხ. „გ“ დანართი);

ბ) თუ საწარმო ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში უფრო ადრე გადადის ფასს სტანდარტების გამოყენებაზე, ვიდრე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, მაგრამ

(i) უფრო გვიან, ვიდრე მისი მშობელი საწარმო, მან დ16 პუნქტი უნდა გამოიყენოს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

(ii) უფრო გვიან, ვიდრე მისი შვილობილი საწარმო, მან დ17 პუნქტი უნდა გამოიყენოს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

### შვილობილი, მეკავშირე და ერთობლივი საწარმოების აქტივები და ვალდებულებები

დ16. თუ შვილობილი საწარმო მშობელ საწარმოზე გვიან გადადის ფასს სტანდარტების პირველად გამოყენებაზე, მან თავის ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივები და ვალდებულებები უნდა შეაფასოს ან:

ა) საბალანსო ღირებულებებით, რომელიც აისახებოდა მშობელი საწარმოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში – მშობელ საწარმოს ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე, თუ არ გაკეთებულა კონსოლიდაციის პროცედურებისა და იმ საწარმოთა გაერთიანებით გამოწვეული შედეგების კორექტირებები, რომელშიც მშობელმა საწარმომ მოცემული შვილობილი საწარმო შეიძინა (ამგვარი არჩევანის უფლება არა აქვს საინვესტიციო საწარმოს (ფასს 10-ში მოცემული განმარტების შესაბამისად) შვილობილ საწარმოს,

რომლის შეფასებაც მოითხოვება სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით); ან

ბ) წინამდებარე სტანდარტის დანარჩენი ნაწილით მოთხოვნილი საბალანსო ღირებულებებით, შვილობილი საწარმოს ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღით. ეს საბალანსო ღირებულებები შესაძლოა განსხვავდებოდეს (ა) პუნქტში აღწერილისაგან:

(i) როდესაც მოცემული სტანდარტის შეღავათები ისეთ შეფასებებს იწვევს, რომელიც დამოკიდებულია ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღზე;

(ii) როდესაც შვილობილი საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა განსხვავდება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებულისაგან. მაგალითად, შვილობილი საწარმო შეიძლება იყენებდეს ბასს 16-ის – *„ძირითადი საშუალებები“* – თვითღირებულების მოდელს, როგორც სააღრიცხვო პოლიტიკას, ხოლო ჯგუფი – გადაფასების მოდელს.

მსგავსი არჩევანის გამოყენება შესაძლებელია იმ მეკავშირე საწარმოსთან ან ერთობლივ საწარმოსთან მიმართებითაც, რომელიც უფრო გვიან გადადის ფასს სტანდარტების პირველად გამოყენებაზე, ვიდრე საწარმო, რომელსაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა ან ერთობლივი კონტროლი გააჩნია მასზე.

დ17. თუმცა, როდესაც საწარმო თავის შვილობილ საწარმოზე (ან მეკავშირე, ან ერთობლივ საწარმოზე) უფრო გვიან იწყებს ფასს სტანდარტების პირველად გამოყენებას, მან კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შვილობილი საწარმოს (ან მეკავშირე, ან ერთობლივი საწარმოს) აქტივები და ვალდებულებები იმავე საბალანსო ღირებულებებით უნდა შეაფასოს, როგორც შეფასებულია შვილობილი საწარმოს (ან მეკავშირე, ან ერთობლივი საწარმოს) ფინანსურ ანგარიშგებაში, კონსოლიდაციასა და საკუთარი კაპიტალის აღრიცხვასთან დაკავშირებული კორექტირებების შემდეგ, ასევე იმ საწარმოთა გაერთიანებით გამოწვეული შედეგების გათვალისწინების შემდეგ, რომელშიც საწარმომ შეიძინა მოცემული შვილობილი საწარმო. ამ მოთხოვნის მიუხედავად, არასაინვესტიციო მშობელმა საწარმომ არ უნდა გამოიყენოს კონსოლიდიაციიდან განთავისუფლების უფლება, რომელსაც იყენებენ საინვესტიციო შვილობილი საწარმოები. ანალოგიურად, თუ მშობელი საწარმო ფასს სტანდარტების პირველად გამოყენებას უფრო ადრე ან გვიან იწყებს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში, ვიდრე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, მან თავისი აქტივები და ვალდებულებები ორივე ფინანსურ ანგარიშგებაში ერთი და იმავე თანხებით უნდა შეაფასოს, გარდა კონსოლიდაციის კორექტირებებისა.

## რთული ფინანსური ინსტრუმენტები

დ18. ბასს 32 – *„ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა“* – საწარმოსაგან მოითხოვს დასაწყისში რთული ფინანსური ინსტრუმენტების დაყოფას ვალდებულების და წილობრივ კომპონენტებად. თუ ვალდებულების კომპონენტი აღარ არის გადავადებული, მაშინ ბასს 32-ის რეტროსპექტული გამოყენება ითვალისწინებს საკუთარი კაპიტალის ორი ნაწილის განცალკევებას. პირველი ნაწილი გაუნაწილებელ მოგებაშია და წარმოადგენს ვალდებულების კომპონენტთან შეზრდილ დაგროვილ პროცენტს. მეორე ნაწილი კი – კაპიტალის თავდაპირველ კომპონენტს. თუმცა, ფასს სტანდარტების თანახმად, საწარმო, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს, არ საჭიროებს მოცემული ორი ნაწილის განცალკევებას, თუ ვალდებულების კომპონენტი აღარ არის გადავადებული ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღისათვის.

## ადრე აღიარებული ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიცირება საკუთარი შეხედულებისამებრ

დ19. ფასს 9 უფლებას იძლევა, რომ საწარმომ ფინანსურ ვალდებულებას (თუ ის დადგენილ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს), საკუთარი შეხედულებისამებრ მიანიჭოს კლასიფიკაცია „სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით“. ამ მოთხოვნის მიუხედავად, საწარმოს ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღისთვის უფლება ეძლევა, ნებისმიერ ფინანსურ ვალდებულებას მიანიჭოს კლასიფიკაცია „სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით“, თუ ეს ვალდებულება ამ თარიღისათვის აკმაყოფილებს ფასს 9-ის 4.2.2 პუნქტის მოთხოვნებს.

 © IFRS Foundation

დ19ა. საწარმოს უფლება აქვს, ფასს 9-ის 4.1.5 პუნქტის შესაბამისად, ფინანსურ აქტივს, საკუთარი შეხედულებისამებრ, მიანიჭოს კლასიფიკაცია „სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით“ ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღისთვის არსებული ფაქტებისა და გარემოებების გათვალისწინებით.

დ19ბ. საწარმოს უფლება აქვს, ფასს 9-ის 5.7.5 პუნქტის შესაბამისად, წილობრივ ინსტრუმენტში განხორციელებულ ინვესტიციას მიანიჭოს კლასიფიკაცია „სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“ ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღისთვის არსებული ფაქტებისა და გარემოებების გათვალისწინებით.

დ19გ. ფინანსური ვალდებულების შემთხვევაში, რომელიც საწარმოს, საკუთარი შეხედულებისამებრ კლასიფიცირებული აქვს, როგორც „სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით“, საწარმომ ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღისთვის არსებული ფაქტებისა და გარემოებების გათვალისწინებით უნდა დაადგინოს, ფასს 9-ის 5.7.7 პუნქტით გათვალისწინებული მიდგომის გამოყენება ხომ არ გამოიწვევს სააღრიცხვო შეუსაბამოებებს მოგებაში ან ზარალში.

**ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების შეფასება თავდაპირველი აღიარებისას**

დ20. მე-7 და მე-9 პუნქტების მოთხოვნების მიუხედავად, საწარმოს უფლება აქვს, ფასს 9-ის ბ5.1.2ა(ბ) პუნქტის მოთხოვნები გამოიყენოს პერსპექტიულად იმ გარიგებების მიმართ, რომლებიც დადებულია ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღისთვის ან მის შემდეგ.

**ძირითადი საშუალებების თვითღირებულებაში ჩართული ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულებები**

დ21. ფასიკ 1 – *„ცვლილებები ექსპლუატაციიდან ამოღების, ადგილმდებარეობის აღდგენისა და მსგავს ვალდებულებებში“* – მოითხოვს, რომ ექსპლუატაციიდან ამოღების, ადგილმდებარეობის აღდგენისა და მსგავს ვალდებულებაში მომხდარი გარკვეული ცვლილებები დაემატოს ან გამოაკლდეს შესაბამისი აქტივის თვითღირებულებას. ამის შედეგად მიღებულ აქტივის ცვეთად ღირებულებას ცვეთა ერიცხება მისი დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. საწარმოს, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს, არ მოეთხოვება ზემოაღნიშნული მოთხოვნების დაცვა ამგვარ ვალდებულებებში მომხდარი ისეთი ცვლილებებისთვის, რომელსაც ადგილი ჰქონდა ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღამდე. თუ ზემოაღნიშნულ გამონაკლის მიდგომას იყენებს საწარმო, რომელიც პირველად იწყებს ფასს სტანდარტების გამოყენებას, მან:

ა) ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღისათვის ვალდებულება უნდა შეაფასოს ბასს 37-ის შესაბამისად;

ბ) იმ ოდენობით, რა სიდიდითაც ეს ვალდებულება თავსდება ფასიკ 1-ის მოქმედების სფეროში, უნდა გამოითვალოს თანხა, რომელიც აისახებოდა მასთან დაკავშირებული აქტივის თვითღირებულებაში ვალდებულების წარმოშობის დროს. ამისათვის, უნდა განახორციელოს ვალდებულების დისკონტირება ამ თარიღამდე, წარსული პერიოდების რისკით კორექტირებული დისკონტირების განაკვეთის (განაკვეთების) საკუთარი საუკეთესო შეფასების საფუძველზე, რასაც გამოიყენებდა ამ ვალდებულების მიმართ ამ პერიოდში; და

გ) ამ თანხის მიხედვით უნდა გამოითვალოს დაგროვილი ცვეთა ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღისათვის, ამ აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის მიმდინარე შეფასების საფუძველზე, ფასს სტანდარტების შესაბამისად საწარმოს მიერ დადგენილი ცვეთის დარიცხვის პოლიტიკის შესაბამისად.

დ21ა. საწარმომ, რომელიც დ8ა(ბ) პუნქტით გათვალისწინებულ განთავისუფლებას იყენებს (დამუშავების ან წარმოების ეტაპზე მყოფი ნავთობისა და გაზის აქტივებისთვის, რომლებიც მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების მიხედვით აისახება იმ დანახარჯთა ცენტრებში, რომლებიც მოიცავს ამა თუ იმ დიდ გეოგრაფიულ რეგიონში განთავსებულ ყველა ქონებას), არ უნდა გამოიყენოს დ21 ან ფასიკ 1-ის მოთხოვნები და ამის ნაცვლად:

ა) ექსპლუატაციიდან ამოღების, ადგილმდებარეობის აღდგენისა და მსგავსი ვალდებულებები ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღისათვის უნდა შეაფასოს ბასს 37-ის შესაბამისად; და

ბ) პირდაპირ გაუნაწილებელ მოგებაში აღიაროს განსხვავება ამ თანხასა და ზემოაღნიშნული ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას შორის, რომელიც მას ექნება ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღისათვის მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების მიხედვით.

### ფასიკ 12-ის შესაბამისად ასახული ფინანსური აქტივები ან არამატერიალური აქტივები

დ22. საწარმოს, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს, უფლება აქვს გამოიყენოს ფასიკ 12-ის გარდამავალი დებულებები.

### ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

დ23. საწარმოს, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს, უფლება აქვს გადაწყვიტოს, ბასს 23-ის მოთხოვნებს ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღიდან გამოიყენებს, თუ უფრო ადრინდელი თარიღიდან, როგორც ამას ითვალისწინებს ბასს 23-ის 28-ე პუნქტი. საწარმომ, რომელიც გამოიყენებს ამ განთავისუფლების უფლებას, იმ თარიღიდან, როდესაც პირველად გამოიყენებს ბასს 23-ს:

ა) არ უნდა მოახდინოს ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების იმ კომპონენტის გადაანგარიშება, რომელიც კაპიტალიზებული იყო მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების შესაბამისად და ამ თარიღისთვის ასახული იყო აქტივების საბალანსო ღირებულებაში; და

ბ) ამ თარიღისთვის, ან მის შემდეგ წარმოქმნილი ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები უნდა ასახოს ბასს 23-ის შესაბამისად, მათ შორის ის დანახარჯები, რომლებიც წარმოიქმნა ამ თარიღისთვის, ან მის შემდეგ უკვე მშენებლობის პროცესში მყოფ განსაკუთრებულ აქტივებთან დაკავშირებით.

დ24. [გაუქმებულია]

### ფინანსური ვალდებულებების დაფარვა წილობრივი ინსტრუმენტებით

დ25. საწარმოს, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს, შეუძლია ფასიკ 19-ის – „*ფინანსური ვალდებულებების დაფარვა წილობრივი ინსტრუმენტებით*“ – გარდამავალი დებულებების გამოყენება.

### მძიმე ჰიპერინფლაცია

დ26. თუ საწარმოს სამუშაო ვალუტა იყო, ან არის ჰიპერინფლაციური ეკონომიკის ვალუტა, მან უნდა დაადგინოს, ექვემდებარებოდა თუ არა ეს ვალუტა მძიმე ჰიპერინფლაციას ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღამდე. ეს პუნქტი ეხება საწარმოებს, რომლებიც პირველად იყენებენ ფასს სტანდარტებს, ასევე იმ საწარმოებსაც, რომლებიც ადრეც იყენებდნენ ფასს სტანდარტებს.

დ27. ჰიპერინფლაციური ეკონომიკის ვალუტა მძიმე ჰიპერინფლაციას ექვემდებარება, თუ მას გააჩნია ორივე შემდეგი მახასიათებელი:

ა) არ არსებობს საიმედო საერთო ფასების ინდექსი ყველა საწარმოსთვის, რომელთა ოპერაციები და ნაშთები გამოსახულია ამ ვალუტაში;

ბ) არ არსებობს ამ ვალუტასა და შედარებით მყარ უცხოურ ვალუტას შორის ურთიერთგაცვლის საშუალება.

დ28. სამუშაო ვალუტის ნორმალიზაციის თარიღიდან საწარმოს სამუშაო ვალუტა აღარ ექვემდებარება მძიმე ჰიპერინფლაციას. ეს უკანასკნელი არის თარიღი, როდესაც სამუშაო ვალუტას უკვე აღარ გააჩნია დ27 პუნქტში მითითებული რომელიმე, ან ორივე მახასიათებელი, ან, როდესაც საწარმო სამუშაო ვალუტას ცვლის ისეთი ვალუტით, რომელიც არ ექვემდებარება მძიმე ჰიპერინფლაციას.

 © IFRS Foundation

დ29. როდესაც საწარმოს ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღი არის მისი სამუშაო ვალუტის ნორმალიზაციის თარიღი, ან შემდგომი თარიღი, საწარმოს უფლება აქვს, სამუშაო ვალუტის ნორმალიზაციის თარიღამდე ფლობილი ყველა აქტივი და ვალდებულება შეაფასოს ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღისთვის განსაზღვრული სამართლიანი ღირებულებით. საწარმოს უფლება აქვს ეს სამართლიანი ღირებულება მიიჩნიოს ამ აქტივებისა და ვალდებულებების დასაშვებ საწყის ღირებულებად ფასს სტანდარტების შესაბამის საწყის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისთვის.

დ30. როდესაც საწარმოს სამუშაო ვალუტის ნორმალიზაციის თარიღი თავსდება 12-თვიან შესადარის პერიოდში, შესადარისი პერიოდი შეიძლება 12 თვეზე ნაკლები იყოს, იმ დასაშვებ თუ ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტის (როგორც მოითხოვება ბასს 1-ის მე-10 პუნქტით) წარდგენა ხდება ამ მოკლე პერიოდისთვის.

### ერთობლივი საქმიანობა

დ31. საწარმოს, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს, უფლება აქვს გამოიყენოს ფასს 11-ით გათვალისწინებული გარდამავალი დებულებები, შემდეგი გამონაკლისების გათვალისწინებით:

ა) საწარმომ, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს, ფასს 11-ის გარდამავალი დებულებები უნდა გამოიყენოს ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღისთვის;

ბ) პროპორციული კონსოლიდაციის მეთოდიდან წილობრივ მეთოდზე გადასვლისას, საწარმომ, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს, ეს ინვესტიცია გაუფასურებაზე უნდა შეამოწმოს ბასს 36-ის შესაბამისად, ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღისთვის, იმის მიუხედავად, არსებობს თუ არა ნიშანი იმისა, რომ მოცემული ინვესტიცია შეიძლება გაუფასურებული იყოს. გაუფასურება უნდა აღიარდეს როგორც გაუნაწილებელი მოგების კორექტირება ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღისათვის.

### ღია წესით დასამუშავებელი საბადოს ექსპლუატაციის ეტაპზე გაწეული საბადოს გადახსნის დანახარჯები

დ32. საწარმოს, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს, უფლება აქვს გამოიყენოს ფასიკ 20-ის – „*ღია წესით დასამუშავებელი საბადოს ექსპლუატაციის ეტაპზე გაწეული საბადოს გადახსნის დანახარჯები*“ – ა1-ა4 პუნქტებში ჩამოყალიბებული გარდამავალი დებულებები. ამ ფასიკ-ის პუნქტში მითითებულ ძალაში შესვლის თარიღში საწარმომ უნდა იგულისხმოს 2013 წლის 1 იანვარი, ან ფასს სტანდარტების შესაბამისი პირველი საანგარიშგებო პერიოდი, იმისდა მიხედვით, რომელი იქნება უფრო მოგვიანო თარიღი.

### არაფინანსური მუხლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებების კლასიფიცირება, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით

დ33. ფასს 9 საწარმოს უფლებას აძლევს, რომ არაფინანსური მუხლის ყიდვის ან გაყიდვის ზოგიერთ ხელშეკრულებას თავდაპირველად მიანიჭოს კლასიფიკაცია „სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით“, საკუთარი შეხედულებისამებრ (იხ. ფასს 9-ის 2.5 პუნქტი). ამ მოთხოვნის მიუხედავად, საწარმოს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს უფლება ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღისათვის ამგვარი კლასიფიკაცია მიანიჭოს ამ მომენტისთვის უკვე არსებულ ხელშეკრულებებს, თუ ისინი აკმაყოფილებს ფასს 9-ის 2.5 პუნქტის მოთხოვნებს ამ თარიღისთვის.

### ამონაგები

დ34. საწარმოს, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს, ფასს 15-ის გ5 პუნქტში აღწერილი გარდამავალი დებულებების გამოყენების უფლება აქვს. ამ პუნქტში მინიშნებაში „თავდაპირველი გამოყენების თარიღი“ იგულისხმება ფასს სტანდარტების შესაბამისი პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისი. თუ საწარმო, რომელიც პირველად იყენებს ფასს

სტანდარტებს, გადაწყვეტს აღნიშნული გარდამავალი დებულებების გამოყენებას, მან უნდა გამოიყენოს ფასს 15-ის გ6 პუნქტიც.

დ35. საწარმოს, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს, არ ევალება იმ ხელშეკრულებების გადაანგარიშება, რომლებიც დასრულდა ყველაზე ადრინდელ წარდგენილ პერიოდამდე. დასრულებული ხელშეკრულება ისეთი ხელშეკრულებაა, რომლის ფარგლებშიც საწარმომ გადასცა მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების შესაბამისად იდენტიფიცირებული ყველანაირი საქონელი ან მომსახურება.

## ოპერაციები უცხოურ ვალუტაში და ანაზღაურება ავანსად

დ36. საწარმოს, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს, არ ევალება ფასიკ 22-ის - *„ოპერაციები უცხოურ ვალუტაში და ანაზღაურება ავანსად“* - გამოყენება იმ აქტივების, ხარჯებისა და შემოსავლების მიმართ, რომლებიც ამ ინტერპრეტაციის მოქმედების სფეროს განეკუთვნებოდა თავდაპირველი აღიარებისას, ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღამდე.


© IFRS Foundation

# დანართი ე

# ფასს სტანდარტებიდან მოკლე ვადით განთავისუფლება

*წინამდებარე დანართი ფასს სტანდარტის განუყოფელი ნაწილია.*

### ფასს 9-ის მიზნებისთვის შესადარისი ინფორმაციის გადაანგარიშების მოთხოვნისგან განთავისუფლება

ე1. თუ საწარმოს ფასს სტანდარტების შესაბამისი პირველი საანგარიშგებო პერიოდი იწყება 2019 წლის 1 იანვრამდე და საწარმო იყენებს ფასს 9-ის დასრულებულ ვერსიას (გამოცემული 2014 წელს), აუცილებელი არ არის, რომ ფასს სტანდარტების შესაბამის პირველ ფინანსურ ანგარიშგებაში შესადარისი ინფორმაცია შეესაბამებოდეს ფასს 7-ს - *„ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“*, ან ფასს 9-ის დასრულებულ ვერსიას (გამოცემული 2014 წელს), თუ ფასს 7-ით გათვალისწინებული ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნები დაკავშირებულია ფასს 9-ის მოქმედების სფეროში მყოფ მუხლებთან. ამგვარი საწარმოებისთვის „ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღი“ ნიშნავს ფასს სტანდარტების შესაბამისად წარდგენილი პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისს, მაგრამ მხოლოდ ფასს 9-ისა (2014 წ.) და ფასს 7-ის კონტექსტში.

ე2. საწარმომ, რომელიც გადაწყვეტს ისეთი შესადარისი ინფორმაციის წარდგენას, რომელიც არ შეესაბამება ფასს 7-სა და ფასს 9-ის (გამოცემული 2014 წ.) დასრულებულ ვერსიას ფასს სტანდარტებზე გადასვლის პირველ წელს:

ა) ფასს 9-ის მოთხოვნების ნაცვლად, უნდა გამოიყენოს ადრინდელი საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებით გათვალისწინებული მოთხოვნები, რომლებიც ეხება ფასს 9-ის მოქმედების სფეროში მყოფი მუხლების შესახებ შესადარისი ინფორმაციის წარდგენას;

ბ) განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს ეს ფაქტი და ასევე განმარტოს საფუძველი, რომელიც გამოიყენა ზემოაღნიშნული ინფორმაციის მოსამზადებლად;

გ) შესადარისი პერიოდის საანგარიშგებო თარიღისთვის მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა (ე.ი. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, რომელიც მოიცავს ადრინდელი საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების შესაბამის შესადარის ინფორმაციას) და ფასს სტანდარტების შესაბამისი პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისთვის მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას შორის (ე.ი პირველი პერიოდი, რომელიც მოიცავს ფასს 7-ისა და ფასს 9-ის შესაბამის ინფორმაციას) კორექტირება უნდა ასახოს, როგორც სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლით გამოწვეული კორექტირება და მოამზადოს განმარტებითი შენიშვნები, რომლებსაც ითვალისწინებს ბასს 8-ის 28(ა)-(ე) და (ვ) (i) პუნქტები. 28(ვ) (i) პუნქტი გამოიყენება მხოლოდ იმ თანხების მიმართ, რომლებიც წარდგენილია შესადარისი პერიოდის საანგარიშგებო თარიღისთვის მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში;

დ) გამოიყენოს ბასს 1-ის 17(გ) პუნქტი დამატებითი განმარტებითი ინფორმაციის გასამჟღავნებლად, როდესაც კონკრეტული სტანდარტის მოთხოვნები საკმარისი არ არის იმისათვის, რომ მომხმარებლებმა გაიგონ, რა გავლენას ახდენს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე კონკრეტული ოპერაციები, სხვა მოვლენები და პირობები.

ე3-

ე7. [გაუქმებულია]

ე8. თუ 2017 წლის 1 იანვრამდეა ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღი საწარმოსთვის, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს, მას უფლება აქვს გადაწყვიტოს, ფასს სტანდარტების შესაბამის პირველ ფინანსურ ანგარიშგებაში, შესადარის ინფორმაციაში არ ასახოს ფასიკ 23-ის – *„მოგების გადასახადის გამოთვლის მიდგომებთან დაკავშირებული გაურკვევლობა*“ – გამოყენება. საწარმომ, რომელიც ამ არჩევანის უფლებას გამოიყენებს, ფასიკ 23-ის გამოყენების კუმულაციური გავლენა უნდა აღიაროს, როგორც გაუნაწილებელი მოგების (ან საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტის, გარემოებისდა მიხედვით) საწყისი ნაშთის კორექტირება ფასს სტანდარტების შესაბამისი პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში.

 © IFRS Foundation